პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 132 (9292) | ხუთშაბათი, 5 ივნისი 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

მტკიცე საკვები ბაზა საზოგადოებრივ მეცხოველეობას — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).
საქართველოს მშრომელები მოითხოვენ ამერიკელთა მხეცობის შეწყვეტას კორეაში (მე-2 გვერდი).
მოვაწესრიგოთ შრომა და მისი ანაზღაურება ჩაის საბჭოთა მეურნეობებში (მე-2 გვერდი).
აღკვეთოთ კრიტიკისადმი არაბოლშევიკური დამოკიდებულება (მე-2 გვერდი).
კოლმეურნეობისადმი ზერელე ხელმძღვანელობის შედეგი (მე-3 გვერდი).
დ. მაისურაძე—ინგლისელ-ამერიკელ-ფრანგიერთი წინააღმდეგობის შესახებ (მე-3 და მე-4 გვერდებ).
კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფის მისალმება ეაკ დიუკლოსადმი (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მტკიცე საკვები ბაზა საზოგადოებრივ მეცხოველეობას

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დღითიდღე ძლიერდება მუშაობა იმისათვის, რომ მთლიანად და მოკლე დროში აღმოიფხვრას საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომები, მტკიცედ განხორციელდეს ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მითითებანი, მიღებულ იქნას ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის ბევრად უფრო მაღალი და ბარაქიანი მოსავალი და გადიდდეს პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობა, მისი პროდუქტიულობა, გაუმჯობესდეს ჯიშიანობა.

მიმდინარე წლის ხელსაყრელი პირობები რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში თივისა და სასილოსე კულტურების უხვი მოსავლის მიღების სრულ შესაძლებლობას იძლევა. კარგი ბალახი გაიზარდა ჩრდილოეთ კავკასიისა და აზერბაიჯანის ზამთრის საძოვრებზეც, რომლებიც მიჩენილი აქვთ საქართველოს სსრ კოლმეურნეობებს. ეს იმის საშუალებას იძლევა, რომ წელს თიბვა და დასილოსება დაწყებულ იქნას გასულ წლებზე უფრო ადრე და მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდეს თიბვის, საზოგადოებრივი პირუტყვისათვის თივისა და სილოსის დამზადების გეგმები. საქმის წარმატება დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ ყოველმხრივ მზად შევხვდებით ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამუშაოს.

მიუხედავად ამისა, საქართველოს მეტი წილი რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, როკორც ამაზე მიუთითებს გუშინ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, თივის აღებისა და საკვების დასილოსებისათვის მზადება დამაკმაყოფილებლად არ მიმდინარეობს. ზოგიერთ რაიონში დაივიწყეს, რომ თივის მოსავლის აღება მეტად სეზონური და პასუხსაგები, დიდი პოლიტიკური და სახალხო მნიშვნელობის საქმეა.

„მოსავლის აღება, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — **სეზონური საქმეა და მას დაცდა არ უყვარს. დროზე აიღებ — მოიგებ, დააგვიანებ მოსავლის აღებას — წააგებ“.**

საჭიროა თავდადებულ მტკიცედ გავითვალისწინოთ ამ საქმის სეზონურობა. ფაქტია, რომ ჩვენში ბევრგან საკვების დამზადება დიდად ჩამორჩა მეცხოველეობის გაზრდილ მოთხოვნებს. საკვების სიმცირე, სათანადო ბაზის უქონლობა ბევრგან აფერხებს მეცხოველეობის განვითარებას. გასულ წლებში ცოტა როდი იყო შემთხვევა, როცა მნიშვნელოვან ფართობზე არ დაუთესიათ საკვები კულტურები, ნაკლები ყურადღება ექცეოდა მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესებას, დაგვიანდა აღება და ბევრგან გადაიწვა თივა. იყო საკვების ცუდად შენახვის, დალპობის ფაქტები, ცუდი კვებისა და ჰოუვლელობის შედეგად პირუტყვის სიკვდილის შემთხვევები. მაგრამ უფრო ცუდი ის არის, რომ ზოგან კვლავ მეორდება შარშანდელი ფაქტები. მარნეულის, ბოლნისისა და წითელწყაროს რაიონებში ზანტად ეკიდებიან თივის აღებას. გარდაბნის, კაჭრეთისა და სხვა რაიონებს, აგრეთვე რესპუბლიკის მტს-ებსა და მეცხოველეობის სამანქანო სადგურებს თივის აღება და საკვების დასილოსება აქამდე არ დაუწყიათ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ყაზბეგის, დუშეთის, თიანეთის, ახმეტის, სიღნაღის, ყვარლის და სხვა რაიონების ბევრ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების უდარდელობა იქამდე მივიდა, რომ ზამთრის საძოვრებზე ჯერ კიდევ არ გაუგზავნიათ საჭირო მუშახელი, თივის ასაღები მანქანები და ტრანსპორტი, ზოგს მეცხოველეობის სამანქანო სადგურებთან ხელშეკრულებაც არ დაუდვია, აჭიანურებენ მზადებას, ხელიდან უშვებენ საუკეთესო დროს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „1952 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თივის აღებისა და საკვების დასილოსების შესახებ“ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, სოფლის მეურნეობის თვითეული მუშაკის საბრძოლო პროგრამას წარმოადგენს. თვითეული კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, მტს-ი ახალი დიდი ამოცანების წინაშე დგას. საჭიროა მეცხოველეობაში პროდუქტიულობის გადიდების უზრუნველყოფის ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი სოფლის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, აგიტატორებისა და პროპაგანდისტების საშუალებით გულმოდგინედ გავაცნოთ მშრომელებს, დავრაზმოთ მასები მისი ბოლშევიკურად შესრულებისათვის. მთელი მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შეიქმნას საკვების მარაგი იმ რაოდენობით, რაც სავსებით დააკმაყოფილებს საზოგადოებრივი მეცხოველეობის მოთხოვნილებას.

თივის აღებისა და საკვების დასილოსების საქმეში პირველ რიგში აუცილებელია სპეციალისტების, სოფლის მთელი აქტივის დახმარებით ოპერატიული სამუშაო გეგმის შედგენა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსების მთლიანად გამოყენებას. გეგმა ისე უნდა შედგეს, რომ მისი განხორციელების საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას თივის ასაღები და სილოსსაჭრელი ყველა მანქანის, ხელის ინვენტარის დროზე შეკეთება, ახლის შეძენა, მომზადება, მათი მაღალნაყოფიერად გამოყენება, ასაღები ნაკვეთების მიჩენა, ბალახის თიბვა, აღება და დაზვინვა საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების, მეცხოველეობის მუშაკების სახელისა და ღირსების საქმეა სანიმუშოდ მოაწყონ მოსავლის არა მარტო აღება, არამედ დროზე აღრიცხვა და გატარება შემოსავალში, დაცვა დატაცებისა და ხანძრისაგან, უზრუნველყონ მისი პირუტყვის საზამთრო სადგომებთან მიზიდვა თიბვის დაწყებიდანვე.

წელს თივის აღებისა და საკვების დასილოსების საქმეში მნიშვნელოვნად გადიდებულია არა მარტო თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის, არამედ თვითეული მტს-ისა და მეცხოველეობის სამანქანო სადგურის როლი, გაზრდილია თვითეული ტრაქტორის, სათიბი და სილოსსაჭრელი მანქანის დატვირთვა. საჭიროა ეს გავითვალისწინოთ სამუშაო გეგმის შედგენისას, უზრუნველყოთ მანქანებისა და კადრების სწორად განაწილება, სატრაქტორო აგრეგატების დაკომპლექტება გამოცდილი ტრაქტორისტებით, კოლმეურნეებით, საბჭოთა მეურნეობების მუშებით, თვითეული მანქანის სრული დატვირთვა, დღიური და ცვლის ნორმების წარმატებით შესრულება, საჭაპანო ტრანსპორტის მაქსიმალურად გამოყენება.

ჩვენს რესპუბლიკაში თივის მარაგის შექმნის საქმეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ დადგენილება თვითეულ კოლმეურნეობას ავალებს აუცილებლად შეასრულოს სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმა პირველი ნათიბი საუკეთესო ხარისხის თივით. დადგენილებაში გათვალისწინებულია აგრეთვე თივის აღება-დამზადებაზე მომუშავეთა წამახალისებელი ღონისძიებანი, რაც ხელს შეუწყობს საქმის წარმატებას.

თიბვის ჩატარებასა და საკვების დასილოსებისათვის მზადებაში ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის არსებითად უნდა გარდაქმნან და გაუმჯობესონ მუშაობა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტმა, ოლქების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მთელი რიგი რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებმა. საჭიროა პარტიის რაიკომებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ადგილებზე მოსავლის აღებისა და დამზადების უზრუნველსაყოფად განახორციელონ ყოველდღიური ოპერატიული ხელმძღვანელობა, სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადაიტანონ მინდვრებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც წყდება წარმატების ბედი. მოსავლის აღება სოფლის კომუნისტების, თვითეული მუშაკის სერიოზული გამოცდაა. უფრო მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა 1952 წლის გეგმების წარმატებით შესასრულებლად. მეტი ყურადღება მივაქციოთ მოწინავეთა მუშაობის გამოცდილების გავრცელებას, გავაძლიეროთ დახმარება და კონტროლი, გამოვიჩინოთ მეტი მომთხოვნელობა ყოველდღიურ საქმიანობაში, სიმკაცრე და შეურიგებლობა ჩამორჩენილობის, უქნარობის წინააღმდეგ.

შევუქმნათ მტკიცე საკვები ბაზა საზოგადოებრივ მეცხოველეობას.

ბულგარეთში გამოიცა გიორგი დიმიტროვის თხზულებათა პირველი ტომი

სოფია. (საკდესი). ბულგარეთის კომუნისტური პარტიის გამომცემლობამ გამოუშვა ბულგარელი ხალხის ბელადის გიორგი დიმიტროვის თხზულებათა პირველი ტომი. გიორგი დიმიტროვის თხზულებათა პირველ ტომში შედის შრომები, რომლებიც მან დაწერა 1903-1911 წლებში.

ჩვენს რესპუბლიკაში

★

შახტი ჰიდრავლიკურ ვსებაზე

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულის ქვანახშირის აუზში სულ უფრო ფართოდ ინერგება ქვანახშირის ამოღების ახალი, მეცნიერულად გამართლებული და რენტაბელური, — ჰიდრავლიკური ვსების მეთოდი.

ამას წინათ ამ მეთოდით ქვანახშირის ამოღება დაიწყეს ლენინის სახელობის შახტში. უკვე გამომუშავებულია ქვანახშირის სამი მძლავრი ლავი, საიდანაც ამოღებულია რამდენიმე ათასი ტონა ქვანახშირი.

მიღებულია ზომები ჰიდრავლიკური ვსების მეთოდის ტყიბულის დანარჩენ შახტებში დასანერგავად.

ხუთი თვის გეგმა ვადამდე შეასრულეს

თბილისის თამბაქოს № 2 ფაბრიკის კოლექტივმა 5 თვის საწარმოო გეგმა 102,7 პროცენტით შეასრულა, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია მილიონზე მეტი მანეთის პროდუქცია. საწარმოო გეგმების შესრულებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი საჰილზე (უფროსი ნ. ვასნაგიანი) და დამტენი (უფროსი ს. ახალაძე) საამქროების კოლექტივებმა.

წარმატებით შეასრულეს 5 თვის საწარმოო გეგმები და პირველხარისხოვანი პროდუქცია გამოუშვეს ფაბრიკის წარჩინებულმა მუშებმა გ. დავიანმა და ს. ქუთათელაძემ. მიმდინარე წლის ხუთი თვის საწარმოო გეგმა 109,8 პროცენტით შეასრულა სტახანოველმა მ. პირირეზონმა, რომელიც ნაცვლად 9 მანქანისა ერთდროულად 24 მანქანას უწევს მომსახურებას.

მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებით სახელი გაითქვეს სტახანოველმა მეთამბაქოეებმა ეკატერინე ცაგარეიშვილმა, ლიდა ზარიძემ, მ. ტერგრიგორიანმა და სხვებმა.

★

სუბტროპიკული კულტურების ასეულ ათასობით ძირი ნერგი

ცხაკაია. (სპეც. კორ.). ლიმონ-მანდარინის ტრესტის ნოსირის სახელმწიფო სანერგეში ყოველწლიურად 54 ჰექტარზე თესვით, მყნობით და კალმების დაფესვიანებით გამოჰყავთ ასეულ ათასობით ძირი ლიმონის, ფორთოხლის, მანდარინის, სუბტროპიკული ხურმის, ზეთისხილის, დაფნის, წიწვიან მცენარეთა ნერგი. სანერგემ მარტო შარშან რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მისცა 400-მდე ათასი ძირი ნერგი, აქედან ლიმონი — 143.400, ფორთოხალი — 68.500, სუბტროპიკული ხურმა — 24.000, დაფნა — 35.000, ზეთისხილი — 4.000, წიწვიანები — 78.000, დანარჩენი კი მანდარინი.

სანერგეში (დირექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებელი, მთავარი აგრონომი პ. ყანჩაველი) ნაყოფიერად მუშაობენ იმისათვის, რომ წელს ბევრად მეტი ნერგი გამოიყვანონ. მარტო ციტრუსები მიმდინარე წლის ბოლოსათვის გასაცემად მზად იქნება ნახევარ მილიონამდე ძირი (დამყნობილია 650 ათასი ძირი), ხურმა — 55.000, ზეთისხილი—18.000, წიწვიანები—63.000 ძირი.

სანერგეში წელს დათესილი და დაკალმებულია ერთ მილიონზე მეტი ძირი ტრიფოლიატი, ხურმა, ზეთისხილი, წიწვიანები და სხვ.

სანერგეში მომუშავეთა შორის გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წლის ყველა დავალების წარმატებით შესრულებისათვის. დღიურ ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ სტახანოველები ნ. პატარაია, ვ. ციმბოლი, ვ. რუდენკო და ბევრი სხვა.

★

ნოვაჭორთა რაციონალიზაჭორული ღონისძიებანი

ჟუთაისი. (საკ. კორ). ლიტოპონის ქარხნის საამქროებში ამ უკანასკნელ ხანს დიდად გაიზარდა წარმოების ნიჭიერი ნოვატორების — ოსტატების, ხარატების, ზეინკლებისა და სხვა რიგითი სპეციალისტების შემოქმედებითი აქტივობა. მათ მიერ შეტანილი 27 რაციონალიზატორული წინადადებიდან ბევრი უკვე განახორციელეს, რითაც წარმოებამ 78 ათასი მანეთი ეკონომია მიიღო.

ხარატმა ი. თოდრიამ, მექანიკოსმა ი. კობერიძემ, ოსტატმა ა. ტიტოვმა და სხვებმა თავიანთი საქმიანი ღონისძიებებით, აპარატებისა და დანადგარების რეკონსტრუქციით გაუმჯობესეს ტექნოლოგიური პროცესები, გაადიდეს შრომის ნაყოფიერება და თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე შეამცირეს თვითღირებულება.

ჩაის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

1 ივნისისათვის საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობებში მოკრეფილია 3.276,3 ტონა ჩაის ფოთოლი, წლიური გეგმა შესრულებულია 15,4 პროცენტით, აპრილ-მაისისა — 67,1 პროცენტით.

გონიოს საბჭოთა მეურნეობაში აპრილ-მაისის დავალება შესრულებულია 57,5 პროცენტით, სალიბაურის მეურნეობაში — 61,7, ჩაქვის — 54,3, ოჩხამურის—58,8, ცეცხლაურის—75,2, აჩიგვარის—82,9, სიდის — 101,4, მოქვის — 70,9, ნატანების—24, ლაითურის — 67,1, ნარუჯის — 76,3, ნასაკირალის—60,5, წულუკიძის — 65,6, დიდი ჟყონის—73,3, ლესიჭინის—70,8, ონგირის—60,8, ონარიის — 60, ნარაზენის—66,2, ხეცერის — 68,3, წალენჯიხის — 74,5, ხიბულის — 110,3, გეჯეთის—28,6, აჭარის—ჩაის ტექნიკუმის მეურნეობაში—70 პროცენტით.

★

კუროორტების კეთილმოწყობა კოლექტიური შრომით

ბორჯომი. (საკ. კორ.). ბორჯომის სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მომსახურე პერსონალი ერთსულოვანი მხარდაჭერით შეხვდა სანატორიუმ „მონინოს“ პერსონალის ინიციატივას — საკუთარი ძალებითა და საშუალებებით უზრუნველყონ სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მახლობელი მიდამოების კეთილმოწყობა.

მონინოელთა წინადადების განხილვამ ლიკანის სანატორიუმის მომსახურე პერსონალში შრომითი ენთუზიაზმის ახალი აზვირთება გამოიწვია. ლიკანელებს ამჟამად სანატორიუმის ეზოს კეთილმოწყობის მრავალი სამუშაო შესრულებული აქვთ. უკვე შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება 8.000 მანეთად არის შეფასებული.

საკუთარი ძალებით შეუდგა კეთილმოწყობის სამუშაოთა შესრულებას ბორჯომის პირველი სანატორიუმის, კურორტთა სამმართველოს და წაღვერის საბავშვო სანატორიუმის მომსახურე პერსონალი.

იაღაღებზე

სიღნაღი. (საკ. კორ.). სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ათასობით სული ცხვარი უვნებლად ავიდა თრიალეთის საზაფხულო საძოვრებზე. 10 ათას სულ ბატკანს კარგად უვლიან მოწინავე მწყემსები იოსებ და დიმიტრი კოპლამაზაშვილები.

ბრიგადირებმა დიმიტრი ლეკიაშვილმა და მიხეილ კოპლამაზაშვილმა უკვე დაიწყეს რძის მიღება და ასობით კილოგრამი ყველი დაამზადეს.

რძის პროდუქტების სიუხვისა და მატყლის გამოსავლიანობის ზრდისათვის ენერგიულად შრომობენ ვ. ტარყაშვილისა და ა. კოპლამაზაშვილის ბრიგადები. მწყემსები ბ. ტარყაშვილი, ლ. გოჩიტაშვილი, ვ. ლეკიაშვილი და ო. კოპლამაზაშვილი მეწველ ცხვარს საუკეთესოდ კვებავენ.

საბჭოთა კავშირში

პირველი პური — სახელმწიფოს

ყაზი-მაჰომედი (აზერბაიჯანის სსრ), 2 ივნისი (საკდესი). დღეს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა პირველებმა ჩაბარეს ზაგოტზერნოს პუნქტს ახალი მოსავლის პური. ბაგიროვის სახელობის, კომკავშირის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებმა მომკეს 100-120 ჰექტარი ქერი თვითეულმა და ახალი მოსავლის პურის წითელ ალალს ამზადებენ.

საკისარების რემონტის ახალი მეთოდები

არ არის ისეთი მანქანა, რომელშიც საკისარი არ იყოს. ტრაქტორში იგი ორმოცდაათამდეა, ამდენივეა ავტომანქანაში, უფრო მეტი — ორთქლმავალსა და თვითმფრინავში. სამსახურის განსაზღვრული ვადის შემდეგ საკისარები უნდა შეიცვალოს.

ჩვენს ქვეყანაში პირველად შემუშავდა საკისარის რემონტის მეთოდები. წინათ ნახმარ საკისარებს ხელახლა გადასადნობად გზავნიდნენ. ახლა მათი მნიშვნელოვანი რაოდენობა შეიძლება აღდგენილ და კვლავ გამოყენებულ იქნას. საკისარების აღდგენის ღირებულება ბევრად ნაკლებია, ვიდრე ახლის დამზადება.

მარტო 1951 წელს საკისარის რემონტის დანერგვის მეოხებით დაზოგილია ათეულ მილიონობით მანეთის ლეგირებული ფოლადი.

მოსკოვის საკისარ-სარემონტო ქარხნის სტახანოველთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივმა შეიმუშავა და წარმოებაში დანერგა ნახმარი საკისარების რემონტის ახალი მეთოდები.

ყველა საკისარ-სარემონტო ქარხანაში ასეთი მეთოდების დანერგვა წლის მანძილზე შესაძლებლობას შექმნის დამატებით დაზოგილ იქნას რამდენიმე მილიონი მანეთის ლითონი და მნიშვნელოვნად გადიდდეს შეკეთებული საკისარების ნომენკლატურა.

საკისარის რემონტის ახალი ხერხები უკვე დანერგილია ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ ქარხნებში. (საკდესი).

ვლადიმირი. ვლადიმირის სატრაქტორო ქარხანა დიდი გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო პროგრამას. ხურათზე: გამზადებული ტრაქტორები უ—4.

ფოტო ვ. ბაიდალოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ვოლგა-დონის სანაოსნო გზის უკანასკნელი უბანი წყლით აივსო

მუშათა დაბა ციმლიანსკი, 2 ივნისი. (საკდესი). გუშინ ციმლიანსკის ზღვის წყლით აივსო ვოლგა-დონის სანაოსნო მაგისტრალის უკანასკნელი უბანი.

ამ დღეებში წარმოებდა ყველა ნაგებობის მომზადება სანაოსნო გზის უკანასკნელ უბანზე გემების გასაშვებად. ქვემო არხი, რომელიც დონიდან მე-15 რაბისაკენ მიდის, გუშინ მთელ სამ კილომეტრ მანძილზე დონის წყლით აივსო. მე-14 რაბის კარს ციმლიანსკის ზღვის ტალღები ეხეთქებოდა. რეიდზე დგანან დიდი ტვირთის დამტევი კარჭაპი „ვბ-26“ და საზღვაო კატერი. ისინი პირველნი უნდა გავიდნენ ქვემო დონში.

დაძაბული მუშაობა იყო გზის ორკილომეტრიან უბანზე — მე-14 და მე-15 რაბის შემაერთებელ არხზე. აქ მუშაობდა ასობით ავტომანქანა, თვითდასაცლელი სკრეპერი, ბულდოზერი და სხვა მექანიზმები. შეტყეს რა სასიხარულო ამბავი, რომ ვოლგისა და დონის წყალი შეერთდა, ძლიერი ტექნიკის მმართავი ადამიანები უმაგალითო აღფრთოვანებით შრომობდნენ.

დღის 11 საათზე ხიდის უზარმაზარი ლითონის ფერმა უკვე რკინა-ბეტონის საყრდენებზე იდგა. ელექტროხერხებით შეიარაღებულმა მშენებელთა ბრიგადებმა გადახერხეს დროებითი საყრდენები და მძლავრმა ტრაქტორებმა ნაწილ-ნაწილად ამოიღეს არხიდან მთელი ხე-ტყე. ბულდოზერისტებმა ჩაწმინდეს კალაპოტი. გუგუნებდნენ მძლავრი სკრეპერები და ექსკავატორები. დღის ბოლოსათვის კალაპოტი მთელ სიგრძეზე გაწმენდილი იყო. დადგა საზეიმო წუთები.

17 საათსა და 50 წუთზე გაისმა ბრძანება: „დაიწყეთ წყლით ავსება!“ ციმლიანსკის ზღვის წყალი შხუილით გაექანა უზარმაზარ ბეტონის მილში, რომელიც გაყვანილია მე-14 რაბის კამერის გვერდით, და წუთნახევრის შემდეგ აქაფებული შეიჭრა შემაერთებელ არხში.

წყლის გამოჩენას ხვდებიან აღფრთოვანებული ტაშით და შეძახილებით ამხანაგ ი. ბ. სტალინის პატივსაცემად, ვისი გენიალური ჩანაფიქრითაც მოკლე ვადაში აგებულ იქნა ვოლგა-დონის სანაოსნო გზა.

რამდენიმე საათის შემდეგ ციმლიანსკის ზღვის წყალი მიადგა ვოლგა-დონის უკანასკნელი, მე-15 რაბის კარს.

სამეცნიერო კონფერენცია ჭიმირიაზევის აკადემიაში

2 ივნისს მოსკოვის კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში გაიხსნა მორიგი სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც შეაჯამებს 1951 წელს ამ უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერთა კვლევითი მუშაობის შედეგებს.

ბევრი მოხსენება მიძღვნილია აკადემიის მონაწილეობისადმი კომუნიზმის დიად მშენებლობებთან დაკავშირებულ მუშაობაში. კონფერენციაზე მთელი რიგი მოხსენებები მიეძღვნება მარცვლეული კულტურების, ხეხილის, ბოსტნეული და ტექნიკური კულტურების მოყვანის ხერხებს მორწყვის პირობებში.

აგრონომიულ, ზოოტექნიკურ, ეკონომიურ და სხვა სექციებში მოსმენილ იქნება 60-მდე მოხსენება. (საკდესი).

ავზომაჯი კოქსისაგან ნართის დასამზადებლად

ლენინგრადი, 2 ივნისი. (საკდესი). კარლ მარქსის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ მოსკოვის მიდამოებში მდებარე ერთ-ერთ ქარხანას გაუგზავნა განუწყვეტელი მოქმედების საცდელი ავტომატური მანქანა კოქსისაგან ხელოვნური ბოჭკოს დასამზადებლად.

ახალ ავტომატურ აგრეგატს მაღალი შეფასება მისცა „გლავტექსტილლეგმაშის“ მიმღებმა კომისიამ. აგრეგატი ერთსა და იმავე დროს ამზადებს 158 ძაფს წუთში 80 მეტრი სისწრაფით. თვითეული ძაფი შედგება მილიმეტრის რამდენიმე მეასედის სიმსხოს მთელი რიგი პარალელური განუწყვეტელი ბოჭკოებისაგან. საჭიროების მიხედვით აგრეგატს შეუძლია ერთ ძაფად დაგრიხოს 120-მდე ბოჭკო. ნაწარმი არ ლუპება, არ იწვის და სიმჟავეებს უძლებს. ავტომატური აგრეგატი კონსტრუირებულია ინჟინრების კ. დ. დანილოვის, ა. ა. ნაპოლსკიხის, ა. მ. შელკოვსკის, გ. კ. მოისეევის მიერ. იგი დაამზადა ქარხნის ექსპერიმენტული საამქროს კოლექტივმა.

საქართველოს მშრომელები მოითხოვენ ამერიკელთა მხეცობის შეწყვეტას კორეაში

მწერალთა პროტესტი

ქართველი მწერლები საშინლად აღაშფოთა კუნძულ კოჯედოზე ტყვე კორეელი ჯარისკაცების მიმართ ამერიკელ აგრესორთა მიერ ჩადენილმა საზიზღარმა დანაშაულმა. იმპერიალისტები, გრძნობენ რა თავიანთი აღსასრულის მოახლოებას, ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ, რათა გაახანგრძლივონ თავიანთი არსებობა. მაგრამ ვერავითარი ძალა ვერ გატეხს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს.

გმირი კორეელი ხალხისადმი თანაგრძნობის გამოსახატავად შეიკრიბნენ ქართველი მწერლები მიტინგზე, რომელიც გახსნა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გამგეობის თავმჯდომარემ პოეტმა-აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ.

ტრიბუნაზეა სტალინური პრემიის ლაურეატი, მწერალი ლეო ქიაჩელი.

—ამერიკელმა ჯალათებმა,—ამბობს ის, — მეცნიერების ძვირფასი მონაპოვარი ხალხის საწინააღმდეგო სამსახურში ჩააყენეს. მეცნიერება გამოიყენეს იმისათვის, რომ ადამიანთა მასობრივად ჟლეტის რაც შეიძლება მეტი საშუალება გამოიგონონ. ლიტერატურა, მხატვრობა, თეატრი ომის პროპაგანდას ემსახურება, რადგან ომი კაპიტალისტებს კოლოსალურ მოგებას აძლევს. მაგრამ ამერიკელ იმპერიალისტებს, ჰიტლერელთა ამ მემკვიდრეებს, ჩაეფუშებათ თავიანთი ბნელი ზრახვები. ძლიერია მშვიდობის მომხრეთა ბანაკი, რომლის სათავეში დგას მთელი პროგრესული კაცობრიობის იმედი — საბჭოთა კავშირი. მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეწყდეს ამერიკელთა ავაზაკობა კორეაში.

— პროტესტს ვაცხადებ, — თქვა მიტინგზე სტალინური პრემიის ლაურეატმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა პოეტმა ი. გრიშაშვილმა, — ამერიკელთა მხეცობის წინააღმდეგ. მოვითხოვ მათს ალაგმვას. მოგიწოდებთ ჩვენი პროტესტის ხმა შევუერთოთ მშვიდობის მომხრეთა მილიონობით ხმებს, მთელი ჩვენი შემოქმედებითი საქმიანობა წარვმართოთ ისე, რომ მან ხელი შეუწყოს მშვიდობის მოძრაობის გაძლიერებას მთელ მსოფლიოში.

სიტყვები წარმოთქვეს მწერლებმა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, ალექსანდრე ქუთათელმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა სანდრო შანშიაშვილმა, თინათინ დონეაშვილმა და სანდრო ეულმა.

ქართველმა მწერლებმა ერთხმად მიღებული რეზოლუციით დაგმეს ამერიკელთა მხეცობა კუნძულ კოჯედოზე და მოითხოვეს დაუყოვნებლივ შეწყდეს სისხლისმღვრელი ომი კორეაში.

მანქანათმშენებელთა ხმა

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები შეიკრიბნენ მიტინგზე, რათა თავიანთი პროტესტის ხმა შეუერთონ მილიონობით მშვიდობისმოყვარე ადამიანის აღშფოთებას კორეაში ამერიკელ ბარბაროსთა მხეცობის გამო.

მიტინგი გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. მინდიაშვილმა. მან სიტყვა მისცა ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსს ს. ბაბაიანს.

— ჩვენ, საბჭოთა ადამიანები,—თქვა მან, — ისე როგორც მთელი პროგრესული კაცობრიობა, აღშფოთებული ვართ ამერიკელი იმპერიალისტების მხეცობით. ისინი ჟლეტენ უდანაშაულო კორეელ ბავშვებს, ქალებსა და მოხუცებს, აწამებენ და ხოცავენ კორეელ და ჩინელ ტყვეებს, ფეხქვეშ თელავენ საერთაშორისო სამართლის ყოველგვარ ნორმებს. ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ აღიკვეთოს ეს საშინელი ბოროტმოქმედება.

ქარხნის საიარაღო საამქროს ახალგაზრდა ზეინკალმა ს. ოქრომჭედლიშვილმა უდიდესი გულისწყრომა გამოთქვა ამერიკელი იმპერიალისტების ვერაგული მოქმედების გამო.

— ამერიკელ იმპერიალისტებს, — განაცხადა მან, — სძულთ ადამიანები, ყველაფერს აკეთებენ მათ საწინააღმდეგოდ, მაგრამ დაე იცოდნენ „ცივილიზებულმა“ მკვლელებმა, რომ ვერ ასცდებიან პასუხისმგებლობას. ქარხნის ახალგაზრდები ჩვენს პროტესტს იმით გამოვხატავთ, რომ უკეთესად ვიმუშავებთ, ყოველდღიურად ავამაღლებთ წარმოების კულტურას, დაუღალავი შრომით ხელს შევუწყობთ მშვიდობის განმტკიცებას.

თბილისი. სახელფლო-სამეურნეო მანქანათა ქარხნის საინსტრუმენტო საამქროს ხარატი ა. რობაქიძე (მარჯვნივ) და მისი მოწაფე ნ. პოლუბოკი დაზგასთან.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

მეშახტეთა გულისწყრომა

ტყიბული. (საკ. კორ.). ამერიკელ ავაზაკთა მიერ კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების მიმართ ჩადენილმა ახალმა მხეცობამ ტყიბულის მშრომელთა უდიდესი გულისწყრომა და პროტესტი გამოიწვია. მეშახტეები, მშენებლები, ინჟინერ-ტექნიკოსები მოითხოვენ ამერიკელი აგრესორების დანაშაულობათა აღკვეთას.

ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტებისადმი თავიანთი ზიზღისა და სიძულვილის გამოსახატავად მოლოტოვის სახელობის შახტში გამართულ მიტინგზე მრავალი მეშახტე შეიკრიბა.

პირველი სიტყვა წარმოთქვა ახალგაზრდა მნგრეველმა ლევან ბრეგვაძემ. მან თქვა:

— ამერიკელმა ჯალათებმა თავიანთი საზარელი მხეცობით შორს მოიტოვეს ჰიტლერელი ფაშისტების ბოროტმოქმედებანი. ჩვენ მოვითხოვთ კაცისმკვლელთა ალაგმვას და მათ სასტიკ დასჯას.

ამხ. ბრეგვაძემ მოუწოდა მეშახტეებს მთელი ძალები მოახმარონ სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების განმტკიცებას, ყოველდღიურად გეგმის გადაძეტებით მისცენ სამშობლოს ასობით ტონა ქვანახშირი. მან პირადად იკისრა ყოველდღიური გეგმა შეასრულოს 150 პროცენტით.

ამერიკელი აგრესორებისადმი სიძულვილით აღსავსე სიტყვები წარმოთქვეს სტახანოველმა მხგრეველმა მამია ფართლაძემ, წარჩინებულმა მთხრელებმა მამა-შვილმა ივანე და გიორგი მასლაკოვებმა, მოწინავე მტვირთავმა ოთარ არაბიძემ და სხვებმა.

ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგები გაიმართა ლენინისა და სტალინის სახელობის შახტებში და გელათის შახტში.

მეშახტეებმა მიტინგებზე ერთსულოვნად მიღებული რეზოლუციებით სოლიდარობა გამოუცხადეს გმირ კორეელ ხალხს და მოითხოვეს ამერიკელ აგრესორთა ბოროტმოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტა.

აგრესორები თავს ვერ დააღწევენ პასუხისმგებლობას

სტალინირი. (საკ. კორ.). მილიონობით კეთილი ნების ადამიანთა პროტესტს თავიანთ ხმას უერთებენ სამხრეთ ოსეთის მშრომელები. სტალინირში, რაიონულ ცენტრებში, შორეულ მთის სოფლებში გაისმის მშრომელთა აღშფოთების ხმა ამერიკელი კაციჭამიების უმაგალითო მხეცობის გამო.

სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში შემდგარ საპროტესტო მიტინგზე, რომელიც ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანმა ვ. ჯიოევმა გახსნა, სიტყვით გამოვიდა დოცენტი ტ. სარიშვილი.

— მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი, — ამბობს იგი, — იმაღლებს ხმას ამერიკელი ჯალათების წინააღმდეგ, რომლებმაც უდიდესი უბედურება დაატეხეს თავს პატარა კორეას. დროა ომის გამჩაღებლებმა შეიგნონ რომ ხალხი მათ არ აპატიებს საერთაშორისო სამართლის ნორმების ასე უხეშად დარღვევას. აღვკვეთოთ ამერიკელთა ბარბაროსობა!

სტუდენტმა ჯ. ხაბალოვმა განაცხადა: —ისტორია დღემდე არ იცნობს ისეთ საშინელებას, რასაც ამერიკელი ბანდიტები სჩადიან კორეაში. აგრესორთა ბოროტმოქმედებას ბოლო უნდა მოეღოს.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც გმობენ ამერიკელი ბანდიტების დანაშაულებრივ მოქმედებას.

მეჯი ყურაღღება აბრეშუმის პარკის პირველადს გადამუშავებას

მახარაძის აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხმა ფაბრიკამ პარკის დამამზადებელი პუნქტებიდან წელს უნდა მიიღოს 900 ტონაზე მეტი აბრეშუმის პარკი. დამამზადებელ პუნქტებში პარკის პირველადს გადამუშავებას უაღრესად დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პარკის ხარისხის შემდგომი შენარჩუნებისათვის. რაიაბრეშუმის მუშაკებმა დროულად უნდა მოჰკიდონ ხელი პარკის პირველადი გადამუშავების საქმეს.

გასული წლის მოსავლის პარკის დამზადების შედეგებმა ცხადყო, რომ ზოგიერთმა პარკის დამამზადებელმა პუნქტმა დაბალხარისხოვანი და ჭარბი სინესტის ნედლეული ჩააბარა ფაბრიკას. მაგალითად, ლანჩხუთის რაიონის ჯუმათ-ნიგვზიანისა და ფახულანის, მახარაძის რაიონის ბახვისა და შრომის დამამზადებელი პუნქტებიდან მიღებული პარკი ზედმეტი სინესტისა და დაბალი ხარისხისა იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ივნისის პირველი რიცხვებიდან პარკის ახალი მოსავლის დამზადება დაიწყო, აღნიშნული დამამზადებელი პუნქტები პარკის მიღებისა და გადამუშავებისათვის მზადებას ჯერ კიდევ მთელი ენერგიით არ შესდგომიან. შეუკეთებელია ფარდულები, შეუმოწმებელია სახმობი კამერების მოწყობილობა.

უახლოეს დღეებში უნდა დამთავრდეს აბრეშუმის პარკის მიმღები პუნქტების — ფარდულებისა და სახმობების წესრიგზე მოყვანა, ყველა საჭირო ინვენტარის მომზადება. დამამზადებელმა პუნქტებმა მაღალხარისხოვნად გადამუშავებული პარკი უნდა მიაწოდონ ძაფსახვევ ფაბრიკებს.

ი. ბერიშვილი.

მახარაძის აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკის მთავარი ინჟინერი

მოვაწესრიგოთ შრომა და ვიწინააღმდეგოთ ანაზღაურება ჩაის საბჭოთა მეურნეობებში

საკოლმეურნეო სოფელში შრომის ნაყოფიერების გაძლიერების ამაღლება ერთერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. დიდი ლენინი გვასწავლიდა რომ „შრომის ნაყოფიერება, ეს, საბოლოო ანგარიშით, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე უმთავრესია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის“.

საქართველოს ჩაის მოწინავე საბჭოთა მეურნეობებში იზრდება შრომის ნაყოფიერება. ჩაის პლანტაციის ცალკეული ნაკვეთების მუშაკებისათვის მოსავლელად მიჩენილი, შრომის სწორად მოწყობით გაძლიერდა პასუხისმგებლობა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბუჩქების მოვლა. ამის გამო გადიდდა მოსავლიანობა.

გასულ წელს დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობაში ბ. ჯღარკავა დღიურად დაწესებული ნორმის—12 კილოგრამის ნაცვლად 54,2 კილოგრამს კრეფდა, ლესიჭინის მეურნეობაში ხ. კუჭავა 16 კილოგრამის ნაცვლად 58,3 კილოგრამს, მ. ანჯაფარია კრეფდა—79,5 კილოგრამს.

მაგრამ საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ დიდი რეზერვებია გამოუყენებელი შრომის ნაყოფიერების ზრდის, მოსავლიანობის გადიდების და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. მაგალითად, დღემდე მთლიანად არ არის განხორციელებული შრომის ნაყოფიერების გადიდების ისეთი საუკეთესო საშუალება, როგორიც არის ჩაის ნაკვეთების მოსავლელად მუშებისათვის მიჩენა. ამის შესახებ საქართველოს ტექნიკური კულტურების სამინისტროს სათანადო ბრძანებაც არსებობს, მაგრამ სინამდვილეში სალიბაურის საბჭოთა მეურნეობაში მხოლოდ 35 ჰექტარია მოსავლელად მიჩენილი 70 მუშაზე, მეურნეობაში კი 370 მუდმივი მუშა და 132 ჰექტარი ჩაის პლანტაციაა. ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში მხოლოდ 66 ჰექტარია მოსავლელად მიჩენილი 132 მუშაზე. ეს მაშინ, როცა აქ 545 მუდმივი მუშაა და ჩაის ბუჩქებს 520 ჰექტარი უკავიათ. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობაშია.

ჩაის საბჭოთა მეურნეობებში მასობრივად არ არის გამოყენებული შრომის ანაზღაურება ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით. ჩაის ფოთლის კრეფის საქმეში ხარისხობრივი მაჩვენებლების ზუსტად დადგენისათვის საქართველოს ტექნიკური კულტურების სამინისტრომ სათანადო ცვლილებები შეიტანა საღრიცხვო ფორმებში. მაგრამ ვერც ამან უშველა საქმეს. დანაკარგები ჩაის მეურნეობაში დღემდე არ არის აღმოფხვრილი. არის შემთხვევები, რომ მოკრეფილი ფოთლის გადაზიდვა ან გადამუშავება დროზე არ ხდება, რაც იწვევს დაზიანებას. ამასთან კრეფის დაგვიანების გამო ჩაის ფოთოლი უხეშდება, ფუჭდება. ეს ხელს უშლის შემდეგი ყლორტების წარმოქმნას და აზიანებს ბუჩქს. არის შემთხვევა, როცა მეტი ფოთლის მოკრეფით გატაცებული მკრეფავი თავს არიდებს ფოთლის მცირე რაოდენობის მქონე ჩაის ბუჩქს, მის სავსებით გაწმენდას შემოსული ყლორტებისაგან, ტოვებს მოუკრეფავ ფოთოლს, რაც მნიშვნელოვნად აღიდებს დანაკარგს და აუარესებს ხარისხს. ამის წინააღმდეგ საჭიროა ქმედითი ზომების მიღება. უნდა შეიცვალოს ჩაის მეურნეობაში სტახანოველთა გამოვლინების წესები. სტახანოველი ჩაის მკრეფავის სახელის მიკუთვნებისათვის არ კმარა პროდუქციის მხოლოდ რაოდენობა. საჭიროა მკრეფავს რაოდენობასთან ერთად მეეთხოვოს პროდუქციის ხარისხის დაცვა და ჩაის ბუჩქის სავსებით გაწმენდა შემოსული ფოთლისაგან, უნდა შემოვიღოთ მატერიალური პასუხისმგებლობა შრომის კანონთა კოდექსის საფუძველზე წუნისა და ჩაის ფოთლის დანაკარგებისათვის. ამასთანავე საჭიროა საბჭოთა მეურნეობების მუშებისათვის დაწესდეს ერთგვარი დაინტერესება ჩაის ბუჩქების შემოსული ფოთლისაგან მთლიანად გაწმენდისათვის. ჩაის ფოთლის უდანაკარგოდ აღება მთელ საბჭოთა მეურნეობებში დიდი მნიშვნელობის საქმეა და საამისოდ ყველა შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ. მეურნეობების დირექტორები მოწოდებული არიან ამთავითვე იზრუნონ მუშახელის საკმაო რაოდენობით უზრუნველყოფისათვის.

ჩაის საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა სერიოზული ამოცანაა განყოფილებების, უბნებისა და ბრიგადების საშეურნეო ანგარიშზე გადაყვანა. სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ყოველ ერთეულს მიჩენილი უნდა ჰქონდეს პლანტაციის განსაზღვრული ნარგავები, საწარმოო საშუალებანი, იარაღ-მანქანები, პერუტყვი, ტრანსპორტი, საწვავი, საწარმოო შენობები და სხვ.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოო ერთეულები (განყოფილება, უბანი) გეგმების ფარგლებში განაგებენ და იყენებენ სახსრებს, მუშახელს, ძიენენ ნედლეულს, მასალას, აგვარებენ შრომითს პროცესებს, ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, აუმჯობესებენ ნაწარმის ხარისხს, ნარგავთა მოვლას, მომჭირნეობით ხარჯავენ მასალას, ახორციელებენ რაციონალიზატორულ ღონისძიებებსა და მუშათა წინადადებებს.

ჩაის საბჭოთა მეურნეობების განყოფილებებისა და უბნების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა ხელს შეუწყობს მოსავლიანობის მნიშვნელოვნად გადიდებას, ჩაის ფოთლის ხარისხის გაუმჯობესებას და მისი თვითღირებულების შემცირებას.

ჩაის მოსავლიანობის შემდგომი გადიდება, სტახანოვური მოძრაობის აღმავლობა გვიკარნახებს მეტი ყურადღება მივაქციოთ შრომის მოწესრიგებას, მის ანაზღაურებას და საბჭოთა მეურნეობებში სამეურნეო ანგარიშის დანერგვას.

ამ საკითხის მოგვარება ევალებათ უწინარეს ყოვლისა ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს.

სვ. ჯაფარიძე

საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტროს შრომის დარგის მმართველი

მარნეულის კეთილმოწყობა

მარნეული. (საკ. კორ.). რაიონის ცენტრში — მარნეულში შეუდგნენ ცენტრალური ქუჩის მოასფალტებას 2,5 კილომეტრ მანძილზე. ქუჩის ორივე მხარეს დადგმულია ლამაზად გაფორმებული ლამპიონები.

მარნეულელებმა წელს წარმატებით იმუშავეს გამწვანებაზეც. გაზაფხულზე მარტო რაიონული ცენტრის ტერიტორიაზე დარგეს 2.000-ზე მეტი დეკორაციული მცენარე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში დამახინჯებებს ურიგდებიან“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 22 აპრილის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო მთელი რიგი ნაკლოვანებანი და დამახინჯებანი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და მის ადგილობრივ ორგანოებში.

როგორც საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო გვატყობინებს, სამინისტროს კოლეგიამ განიხილა აღნიშნული წერილი. კოლეგიამ მართებულად ცნო „კომუნისტის“ კრიტიკა. აღინიშნა, რომ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში არის ბიუროკრატიზმის, სიფხიზლის მოდუნების ფაქტები, შესუსტებულია გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი, სოციალისტური ქონების გამნიავებლების მიმართ იღებენ ლმობიერ ზომებს, ირღვევა საშტატო-საფინანსო დისციპლინა, სუსტად არის გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა და სხვ.

სახელმწიფო ქონების დატაცება-განიავებისათვის სამუშაოდან მოხსნილი და პასუხისგებაში მიცემული არიან ფიზკულტურის დისპანსერის დირექტორი ა. მეტრეველი, მოადგილე ა. გოთოშია, ბუხჰალტერი მ. ერიქაშვილი, ცრუმეცნიერი მ. ყენია, საწყობის გამგე კ. ჭურღულია და სხვ.

საბუხჰალტრო რევიზიის გულგრილად ჩატარებისათვის სამუშაოდან მოხსნილია თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების მთავარი ბუხჰალტერი შ. გვეტაძე. შემოსული სიგნალის გამორკვევის გაჭიანურებისათვის საყვედური გამოეცხადა განყოფილების უფროსს თ. ხომერიკს. საშტატო-საფინანსო დისციპლინის დარღვევისათვის საყვედური გამოეცხადა თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგეს ამხ. ვ. ზაქარიაძეს. საყვედური გაფრთხილებით გამოეცხადა აგრეთვე ტუბინსტიტუტის დირექტორს ამხ. ა. უშვერიძეს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამკურნალო სამმართველოს უფროსს ამხ. კ. გერსამიას, მის მოადგილეს ამხ. ი. ბაბუცაძეს მშრომელთა სიგნალებზე პასუხის დაგვიანებისა და სამკურნალო დაწესებულებებისადმი სუსტი კონტროლისათვის საყვედური გამოეცხადათ.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილეს ამხ. ნ. ბარკალაიას დაევალა შეამოწმოს ტუბინსტიტუტის სამეცნიერო და სამკურნალო საქმიანობა. მინისტრის მოადგილეს ამხ. შ. ეგნატაშვილს დაევალა მეორე კვარტალში მოაწყოს სამინისტროს აპარატის მუშაკთა ატესტაცია.

სამინისტროს კოლეგიამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ აღმოფხვრისათვის.

აღვკვეთოთ კრიზისისადმი არაბოღშევიკური დამოკიდებულება

ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების პარტიული აქტივის კრებაზე სამტრედიის სალიანდაგო დისტანციის ინჟინერმა ვ. ჭანტურიამ ამხილა ამავე დისტანციის უფროსის მ. ახრახაძის დანაშაულობრივი მოქმედება. ახრახაძემ გასულ წელს აბაშის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის 900 კილოგრამი სმინდი მიითვისა, სადგურ ქვალონში სალიანდაგო დისტანციის საოსტატოს მუშათა საერთო საცხოვრებელში თავის სიმამრს ღვინის კერძო სავაჭრო გაახსნევინა, ხოლო ვანის რაიონიდან ქვალონამდე ღვინოების გადმოსაზიდავად ამ „სავაჭროს“ დისტანციის საბარგო ავტომანქანა მიამაგრა. თვით დისტანციის კანტორაში სდღაც 39 ცალი ახალი სკამი, რაც ახრახაძეს „შეუმჩნეველი“ დარჩა, და სხვ. ეს იყო მიმდინარე წლის 28 თებერვალს.

ამხ. ჭანტურიას კრიტიკული გამოსვლით შეურაცხყოფილმა ახრახაძემ მისი თავიდან მოცილება განიზრახა. ამ საქმეში ახრახაძეს დამხმარედ გამოუჩნდა სალიანდაგო დისტანციის მთავარი ბუხჰალტერი ა. შუბლაძე. მათ შექმნეს „საქმე“, თითქოს ფოთის სადგურში ჭანტურიას მიზეზით ისრებით დატვირთული ვაგონი მოცდა, და მის წინააღმდეგ სასამართლოში აღძრეს საქმე. მართალია, ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის პროლეტგანყოფილების ჩარევის შედეგად ამხ. ჭანტურია სასამართლო პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებულ იქნა, მაგრამ ახრახაძისა და შუბლაძის მოქმედება, როგორც კრიტიკის ჩამხშობებისა, პარტიის სამტრედიის რაიკომს მსჯელობის საგნად არ გაუხდია. ახრახაძეს ადმინისტრაციული წესით დისტანციის უფროსის თანამდებობიდან ჩამოყენება აკმარეს.

სამტრედიაში კრიტიკა და თვითკრიტიკა, განსაკუთრებით კი ქვემოდან კრიტიკა პატივისცემით არ სარგებლობს. აქ ხშირად ამხანაგებს კრიტიკული გამოსვლებისათვის სდევნიან, სამუშაოდანაც კი ხსნიან, ხოლო ფოცა კრიტიკის ჩახშობის ფაქტი გახმაურდება, „შეცდომას ასწორებენ.“ ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

გასული წლის აგვისტოში რკინიგზის სამტრედიის სადგურის პარტბიუროს მდივანმა ამხ. გ. აბუსერიძემ პარტიის სამტრედიის რაიკომში დააყენა საკითხი სადგურის უფროსის ამხ. ს. გოგისვანიძის უხეირო მუშაობის შესახებ. შემოწმებით გოგისვანიძეს ხულიგნობა, სახელმწიფო ქონების მითვისება, სისხლის სამართლის დამნაშავეთა მფარველობა და სხვა ბრალდებები დაუდასტურდა. რაიკომის ბიურომ იგი სადგურის უფროსის თანამდებობიდან მოხსნა. აღსანიშნავია, რომ რაიკომის ბიუროზე გოგისვანიძეს რატომღაც თავგამოდებით იცავდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს წარმომადგენელი ამხ. გ. ბაგიშვილი და სამტრედიის განყოფილების უფროსი ამხ. გ. მაცაბერიძე. რაიკომის ბიუროს დადგენილებას მხარი არ დაუჭირა აგრეთვე გზის უფროსმა ამხ. გ. კიკნაძემ. უფრო მეტიც, ამ უკანასკნელის ბრძანებით გოგისვანიძე განყოფილების აპარატში მოძრაობის რევიზორად დაწინაურეს (!). ყოველივე ამის შესახებ მიდინარე წლის იანვარში რაიონული პარტიული აქტივის კრებაზე ილაპარაკა სამტრედიის სადგურის პარტბიუროს მდივანმა ამხ. გ. აბუსერიძემ. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ განყოფილების უფროსმა ამხ. მაცაბერიძემ რაიკომის ბიუროს დადგენილების შემდეგ გოგისვანიძეს პრემიის სახით 600 მანეთი მისცა და უკანონოდ გაუნაღდა 15 დღის ხელფასი სადგურის ანგარიშიდან, მაშინ როცა იგი ფაქტიურად არსად არ მუშაობდა.

პარტიული აქტივის კრების შემდეგ რამდენიმე დღემ განვლო. მოსალოდნელი იყო, რომ გ. აბუსერიძის კრიტიკულ შენიშვნას ხელმძღვანელი ორგანოები გაითვალისწინებდნენ და დაშვებულ შეცდომას გამოასწორებდნენ. მაგრამ პირიქით მოხდა. ამხ. აბუსერიძე სახელდახელოდ შეთითხნილი „ბრალდებებით“ განყოფილების უფროსმა ამხ. მაცაბერიძემ სამუშაოდან მოხსნა. ეს იყო მაცაბერიძის პასუხი ქვემოდან კრიტიკაზე.

მას შემდეგ, რაც კრიტიკის ჩახშობის ფაქტი გახმაურდა, მაცაბერიძემ ბრძანება გააუქმა და აბუსერიძე სამუშაოზე აღადგინა. მაცაბერიძის მხრივ ასეთი მოქმედება იშვიათი როდია. იგი აბუჩად იგდებს კრიტიკულ შენიშვნებს. მაგალითად, 1950 წელს გაზეთმა „კომუნისტმა“ ამხილა რკინიგზის სამტრედიის სადგურის მოლარე გ. გოცირიძე, რომელიც სამგზავრო ბილეთებს ზედმეტ ფასებში ჰყიდდა. მაგრამ იგი მაცაბერიძის წყალობით დაუსჯელი დარჩა.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის სამშენებლო უბნის ინჟინერმა გ. ფორჩხიძემ გასულ წელს რამდენიმე სიგნალი მისცა ზემდგომ ორგანოებს უბნის უფროსის ამხ. მ. ურუშაძის უხეშობისა და უბნის მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ. მისი კრიტიკული წერილებიც დაიბეჭდა გაზეთ „ბოლშევიტსკაია პუტიოვკაში“. ამხ. ურუშაძემ ფორჩხიძისათვის ანგარიშის გასწორების „მოხერხებული გზა“ აირჩია. მან ფორჩხიძეს ოჩამჩირისა და ხარაგოულის სამშენებლო ობიექტებზე კვალიფიციური მუშახელის მომზადება დააკისრა. ამასთან წინასწარ განზრახვით, დავალების შესასრულებლად აღნიშნულ ობიექტებზე არ მიავლინა, სამტრედიიდან გამგზავრების საშუალება არ მისცა. ცხადია, ფორჩხიძე სამტრედიიდან ოჩამჩირესა და ხარაგოულში კადრების მომზადების საქმეს ვერ უხელმძღვანელებდა. შემდეგ ფორჩხიძის წინააღმდეგ „საქმე“ შეადგინეს, კადრების მომზადების ჩაშლა დააბრალეს, და ამხ. მაცაბერიძემ ურუშაძის წარდგენით ფორჩხიძის „საქმე“ განსახილველად განყოფილებასთან არსებულ სასამართლოს გადასცა. სასამართლოც უფროსების სურვილებს დაემორჩილა და ფორჩხიძის უფროსი ინჟინრის თანამდებობიდან მშენებელ ოსტატად ჩამოყენება გადაწყვიტა. განყოფილების უფროსი ამხ. მაცაბერიძე ბრმად დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებას და იგი ბრძანებით დაადასტურა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს უპრინციპობა, რომელიც რკინიგზის სამტრედიის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილემ ამხ. ა. წილოსანმა გამოიჩინა. მან კარგად იცოდა, რომ ამხ. ფორჩხიძეს კრიტიკული შენიშვნებისათვის სდევნიდნენ, საამისო მასალები პოლიტგანყოფილებასაც ჰქონდა. მიუხედავად ამისა, იგი კრიტიკულად, ობიექტურად არ მიუდგა საკითხის განხილვას. მართალია, პოლიტგანყოფილების უფროსის ჩარევის შემდეგ სასამართლომ ფორჩხიძის „საქმე“ ხელახლა განიხილა და გაამართლა, ხოლო მაცაბერიძემ იგი წინანდელ თანამდებობაზე დაუშვა, მაგრამ ამხ. ფორჩხიძეს კრიტიკის ჩამხშობთა მიზეზით გაცდენილი დღეების ხელფასის მიცემას უჭიანურებენ. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ განყოფილების უფროსმა მაცაბერიძემ და უბნის უფროსმა ურუშაძემ პირადი მუნდირის ღირსების დაცვის მიზნით ბრძანება დაწერეს ფორჩხიძის წინანდელ თანამდებობაზე დაშვების (!) და არა აღდგენის შესახებ.

სამშენებლო უბანში ყველაფერი რიგზე არ არის. მშენებლობის გეგმების შესრულებაში ჩამორჩენაა. ამის მთავარი მიზეზი არის მუშათა ხშირი დენადობა, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისადმი უდარდელი დამოკიდებულება და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დაბალი დონე. პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ამხ. შ. იმნაიშვილი) და უბნის უფროსი ამხ. ურუშაძე მდგომარეობის გამოსასწორებლად გადამჭრელ ზომებს არ იღებენ. ურუშაძე უხეშად ეპყრობა მუშებს.

კრიტიკისადმი არასწორ დამოკიდებულებას იჩენს პარტიის სამტრედიის რაიკომის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკიც. ყოველ კრიტიკულ შენიშვნას აქ პირადი ღირსების შებღალვად თვლიან. ამას წინათ რაიონულმა გაზეთმა „სოციალისტურმა შეტევამ“ რამდენიმე კრიტიკული წერილი დაბეჭდა რაიონის ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შესახებ. იმის ნაცვლად, რომ რაიკომის მუშაკებს მხარი დაეჭირათ თავისი გაზეთის კრიტიკული გამოსვლისათვის, მათ ეს იწყინეს. რაიკომის ინსტრუქტორი ამხ. ქ. სტურუა იქამდე მივიდა, რომ რაიონული გაზეთის რედაქტორის მოადგილე ამხ. გ. ჯანჯღავა გამოიძახა და რაიკომის „აზრი“ განუმარტა: პარტიული ორგანიზაციების მუშაობას რომ აკრიტიკებთ, ჩვენ უნდა შეგვითანხმოთო.

სამტრედიელ ამხანაგებს უნდა ახსოვდეთ, რომ ნაკლოვანებებს კი არ უნდა ვჩქმალავდეთ, არამედ უნდა ვააშკარავებდეთ, ბოლშევიკური პრინციპულობით ვიბრძოდეთ მათი აღმოფხვრისათვის.

ვ. კოკალეიშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

კოლმეურნეობებისადმი ზერელე ხელმძღვანელობის შედეგი

საქართველოს კ. პ. (ბ) გეგეჭკორის რაიკომში და რაისაბჭოს აღმასკომში ყოველდღე იღებენ კოლმეურნეობებიდან, საბჭოთა მეურნეობიდან, ჩაის ფაბრიკებიდან ცნობებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ. ამ ცნობებიდან ჩანს, რომ ჩამორჩენა თვიდან თვემდე გრძელდება.

გეგეჭკორელებმა ხელიდან გაუშვეს ადრე გაზაფხულზე ხელსაყრელი ამინდები, მთელი ძალები ვერ დარაზმეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესასრულებლად, შეუწყნარებლად გააჭიანურეს ხვნა-თესვა. ამის გამო თესვის გეგმა 27 მაისისათვის 93 პროცენტით იყო შესრულებული. ამავე დროისათვის დათესილი იყო 72 ჰექტარი ერთწლიანი ბალახები, ნაცვლად 300 ჰექტარისა. ღომისა და საკვები ძირხვენების თესვის დავალება სანახევროდაც არ ჰქონდათ შესრულებული.

უხეიროდ მუშაობს გეგეჭკორის მტს-ი. სასტიკად ირღვევა სამუშაოთა აგროვადები. მტს-ს 27 მაისისათვის ხვნა-თესვის დავალება შესრულებული არ ჰქონდა. ჩაის პლანტაჟი გააკეთეს 56 ჰექტარზე, ნაცვლად 80 ჰექტარისა, პლანტაჟი გადახნეს მხოლოდ 11 ჰექტარზე, ნაცვლად 100-სა. არ შეუსრულებიათ ვენახის პლანტაჟის, ამოძირკვის, საგაზაფხულო ღრმა ხვნის და სხვა დავალებანი. შესრულებულ სამუშაოებზე სამ ტონამდე საწვავი გადახარჯეს.

მტს-მა წელს ცუდად შეკეთებული ტრაქტორები გაიყვანა მინდვრად. ამის შედეგად 18 ტრაქტორიდან ყოველდღიურად მუშაობს მხოლოდ 6-7. სტალინეც-80 მარკის 5 ტრაქტორი აქვთ. აქედან მხოლოდ 2 მუშაობს. არის შემთხვევა, როცა ტრაქტორები საწვავის უქონლობის გამო მომცდარია. მაგალითად, 27 მაისს სოფელ ბანძის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში შ. კვირაიას და ნ. კონდიანის ტრაქტორები საწვავის უქონლობის მიზეზით გაცდნენ. ზემდგომი ორგანოები მტს-ს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. სამ მტს-ისადმი უყურადღებობას ისიც მოწმობს, რომ დღემდე არა აქვთ სახელოსნო მანქანა, არა ჰყავთ მეცხოველეობის დარგის მექანიკოსი, საგზაო ინჟინერი, კონტროლიორ-მექანიკოსი; აკლიათ ტრაქტორისტები. ბულდოზერი ორი თვეა არ მუშაობს ღერძისა და სხვა აუცილებელი ნაწილების უქონლობის გამო.

ყველაფერი ეს იციან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ქუთაისის საოლქო აღმასკომის მტს-ების სამმართველოში, ხელმძღვანელი ამხანაგებიც მიდიან ადგილზე, აძლევენ დაპირებებს, მაგრამ საქმიანი დახმარება და მტს-ის მუშაობაში გარდატეხა დღემდე არა ჩანს. ამას წინათ პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურომ განიხილა მტს-ის მუშაობის საკითხი და დასახა ღონისძიებანი. ამასაც რაიმე არსებითი შედეგი არ მოჰყოლია.

წელს რაიონში ჩაის ფოთოლი საკრეფად გვიან შემოვიდა. მოსალოდნელი იყო, რომ ჩაის კრეფის სეზონს ყოველმხრივ მზად შეხვდებოდნენ, ჩაის კრეფას მოაწყობდნენ განუწყვეტლივ, ყოველდღიურად და არ დაარღვევდნენ კრეფის წესებს. მაგრამ ასე არ მოხდა. ჩაის ფოთოლი საკრეფად უხვად არის შემოსული, კრეფის ტემპი კი სრულიად არადამაკმაყოფილებელია. რაიონში ჩაის ფოთლის კრეფის აპრილმაისის გეგმა 1 ივნისისათვის შესრულებული იყო მხოლოდ 63,8 პროცენტით. დიდი ჭყონის პირველ და მეორე ჩაის ფაბრიკებს ჩაის ფოთლის დამზადების დავალება არ შეუსრულებიათ. ჩაის კრეფაში რაიონის თითქმის ყველა კოლმეურნეობა ჩამორჩა. განსაკუთრებით ჩამორჩნენ სოფ. გეგეჭკორის სტალინის და ბერიას სახელობის, სოფ. ლენინდრაოს ბერიას სახელობისა და დიდი ჭყონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობები. სოფელ ნაგვაზაოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში იმის გამო, რომ ჩაის ფოთოლს ყოველდღიურად არ კრეფდნენ, ჩაი გაუხეშდა და ჩაის ფაბრიკას 5 ტონამდე მეორე ხარისხის ჩაის ფოთოლი ჩაბარეს. ამ დარღვევაზე აქტიც შეადგინეს, მაგრამ კრეფის წესების დარღვევა გრძელდება. ფაბრიკის აგრონომი ნ. ჯანაშია აქტის შედგენით დაკმაყოფილდა. არც თვითონ იგი და არც რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების აგრონომები გადამჭრელ ზომებს არ იღებენ მსგავს ნაკლოვანებათა აღსაკვეთად.

დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ჩაის ფოთოლს ნელი ტემპით კრეფენ. ამის გამო ბევრ ნაკვეთში ფოთოლი გაუხეშდა. ასეა მეურნეობის მესამე, მეოთხე და მთელ რიგ სხვა ბრიგადებში. 26 მაისს მეურნეობის პირველი აგრორაიონის მეოთხე ბრიგადიდან ჩაის ფაბრიკაში მოიტანეს 800 კილოგრამამდე ჩაის ფოთოლი, რომელიც ძლიერ გაუხეშებული იყო, ამავე დროს ბლომად იყო ყუნწებიანად ნაკრეფი ჩაი. ამას ხედავდა მეურნეობის აგრონომი ფ. შონია, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა. როგორც გამოირკვა, იგი პლანტაციებში იშვიათად დადის და დატვირთულ მანქანებს ფაბრიკაში ხვდება. გაჭედილის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში უხეშად არღვევენ ჩაის კრეფის წესებს. მიმღებმა პუნქტმა არ შეამოწმა ჩაი და 800 კილოგრამი პირველ ხარისხად მიიღო. შემოწმებით აღმოჩნდა, რომ გაუხეშებული ფოთოლი 15,2 პროცენტი იყო, ნაცვლად 8 პროცენტისა.

ჩაის საბჭოთა მეურნეობაში დროზე არ მიიღეს ზომები მკრეფავთა კადრების აღზრდისა და მეურნეობის უზრუნველყოფისათვის. ნაკლებად ზრუნავენ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჩაის კრეფაზე მკრეფავები მასობრივად არ გამოდიან და სრული დატვირთვით არ მუშაობენ. სოფელ სალხინოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ სეზონში 57 ტონაზე მეტი ჩაი უნდა მოკრიფოს. 20 მაისიდან ჩაის ფოთოლი აქ მასობრივად იყო საკრეფი. მაგრამ 21 მაისს მოკრიფეს 149 კილოგრამი ჩაი, 24 მაისს—99, ხოლო 25 მაისს—75 კილოგრამი. პირველ ბრიგადაში კრეფაზე მხოლოდ 10-12 კოლმეურნე გამოდის. მოუწესრიგებელია შრომადღეების აღრიცხვა. ჩაის კრეფის დაწყებიდან 15 დღის განმავლობაში არცერთ მკრეფავს შრომადღეები დარიცხული არ ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ ამ ჩამორჩენას პარტიის რაიონული კომიტეტი და რაისაბჭოს აღმასკომი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს. რაიკომის ბიუროს 17 აპრილის სხდომის დღის წესრიგში იდგა ჩაის პლანტაციებში საგაზაფხულო სამუშაოთა მიმდინარეობის საკითხი, მაგრამ იგი დღის წესრიგიდან მოიხსნა მოუმზადებლობის გამო. ამის შემდეგ, 20 მაისს რაიკომის ბიურომ იმსჯელა სოფელ ნოღის, ვედიდკარის, თამაკონის და ლეხაინდრაოს კოლმეურნეობებში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მიმდინარეობის შესახებ. დადგენილებაც მიიღეს. მაგრამ ამის შემდეგ არც ამ კოლმეურნეობებში და არც სხვაგან გარდატეხა არ მომხდარა. ჩაის ფოთლის კრეფის წესებს კვლავ არღვევენ.

რაიკომის ბიუროს ზოგჯერ ამა თუ იმ საკითხზე დადგენილება გამოაქვს, მაგრამ მისი შესრულებისათვის არ იბრძვის. მაგალითად, 11 აპრილს რაიკომის ბიურომ განიხილა რაიონის კოლმეურნეობებში საგაზაფხულო ხვნა-თესვის მიმდინარეობის საკითხი. იმ დროისათვის ხვნის დავალება რაიონში შესრულებული იყო 61 პროცენტით, თესვისა—7 პროცენტით. მიღებულ დადგენილებაში ვკითხულობთ: (ტექსტი უცვლელად მოგვყავს) „...მიიღონ საჭირო ზომები ხვნის უახლოეს დღეებში ჩასატარებლად და საგაზაფხულო კულტურების თესვის შემჭიდროებულ ვადებში დამთავრებისათვის“. შემდეგ: „დაევალოს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ბ. ხვიჩიას, გარდაქმნას სასოფლო საბჭოს მუშაობა იმდაგვარად, რომ ისინი შესრულებული სამუშაოების შესახებ დაწესებულ ვადებში ადგენდეს სოფლის მეურნეობის განყოფილებაში შეუფერხებლად ცნობებს“.

ცხადია, ასეთი დადგენილებისაგან კოლმეურნეობებსა და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ვერაფერს ისწავლიან. დადგენილების მიღებიდან ერთი თვე გავიდა, ჩამორჩენა კი გრძელდებოდა. რაიკომის ბიურომ 10 მაისს დღის წესრიგში დააყენა კოლმეურნეობებში საგაზაფხულო თესვის მიმდინარეობის საკითხი. ამჯერადაც მიიღეს დადგენილება იმ განსხვავებით, რომ ერთ-ერთ მუხლად შეიტანეს: „დაევალოს კოლმეურნეობებში მიმაგრებულ პასუხისმგებელ ამხანაგებს და პირველად პარტორგანიზაციის მდივნებს დასახონ და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ თესვის გეგმის დროულად და ხარისხიანად შესრულებას“. ამხანაგ ვერ უშველა საქმეს. თესვა 28 მაისსაც არ იყო დამთავრებული. რა ფასი აქვს ასეთ დადგენილებას? რაც შეეხება რაისაბჭოს აღმასკომს, მას ერთხელაც არ უმსჯელია ჩაის სამუშაოებისა და კრეფის მიმდინარეობის საკითხებზე.

კოლმეურნეობებისადმი ასეთი ხელმძღვანელობით გეგეჭკორელები ჩამორჩენას ვერ გამოასწორებენ. საჭიროა პარტიის რაიონულმა კომიტეტმა (მდივანი ამხ. ე. ჯვებენავა) და რაისაბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე ამხ. ბ. ხვიჩია) მკვეთრად გარდაქმნან მუშაობა, მთელი ძალები დარაზმონ სასოფლო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადამეტებით შესრულებისათვის, გააძლიერონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სოფლად. იგი აიყვანონ ახალი ამოცანების დონემდე.

ნ. ჯანჯღავა
ბ. მილიუტინი

პარაგვაის კომპარტიის მეოთხე ეროვნული კონფერენცია

ბოლივიდეო, 3 ივნისი. (საკდესი). პრესის ცნობით, ამას წინათ პარაგვაის დედაქალაქ ასუნსიონში გაიმართა პარაგვაის კომუნისტური პარტიის მეოთხე ეროვნული კონფერენცია. კონფერენციამ განიხილა საერთაშორისო და საშინაო პრობლემები და კომპარტიის ამოცანები იმ მხრივ, რომ მშრომელებსა და მთელ ხალხს დახმარება გაუწიოს მშვიდობისათვის, პერისათვის, დემოკრატიისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება გაფართოვდეს კამპანია ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შესაგროვებლად, ამავე დროს კორეაში პარაგვაის ჯარების გაგზავნის წინააღმდეგ განცხადებაზე ხელმოწერის შესაგროვებლად.

რეზოლუციით შიშლისა და სიძვირის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ კონფერენციამ მოუწოდა მშრომელებს იბრძოლონ ისეთი მოთხოვნების დაუყოვნებლივ განხორციელებისათვის, როგორიც არის ხელფასის მომატება, იძულებითი შრომის კანონის გაუქმება, ფართო მოზმარების პროდუქტებისა და საგნების ფასების შემცირება, რვა საათის სამუშაო დღის კანონის შესრულება, შრომის პირობების გაუმჯობესება, პროფკავშირული მოძრაობის თავისუფლება.

კონფერენციამ აღნიშნა, რომ კომპარტიის მუშაობის ძირითადი ნაკლია მისი წევრების სუსტი იდეოლოგიური ზრდა და მარქსიზმ-ლენინიზმის სუსტად შესწავლა. კონფერენციამ გადაწყვიტა გაუმჯობესოს პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა კომპარტიის წევრებში და მუდმივი კონტროლი გაუწიოს დასახული ამოცანების შესრულებას.

კონფერენციამ მიიღო სპეციალური რეზოლუცია — გაძლიერდეს ბრძოლა პარაგვაის კომპარტიის გამოჩენილი მოღვაწის აბდულიო ბარტეს გადარჩენისა და განთავისუფლებისათვის. ბარტე პარაგვაის ხელისუფლებამ საპარობილეში ჩასვეს ამერიკის იმპერიალიზმის ბრძანებით.

კონფერენციამ მიიღო მისასალმებელი დეპეშა ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

მუშაობა დაამთავრა ისრაელის კომუნისტური პარტიის მე-12 ყრილობამ

ტელ-ავივი, 3 ივნისი. (საკდესი). 1 ივნისს მუშაობა დაამთავრა ისრაელის კომუნისტური პარტიის მე-12 ყრილობამ.

ყრილობამ აირჩია ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა. გენერალურ მდივნად ხელახლა არჩეულია მიკუნისი. გაზეთმა გამოაქვეყნა ყრილობის მიმართვა ქალაქისა და სოფლის მშრომელებისადმი. ყრილობა მოუწოდებს მშრომელთ გააჩაღონ ბრძოლა მუშათა კლასის გაერთიანებისათვის.

მიმართა რა ისრაელის ხალხს, ყრილობამ მოუწოდა მთელი ძალღონე მოახმაროს მშვიდობის დაცვას.

ყრილობა აღნიშნავს, რომ ისრაელი დამონებული ჰყავთ ამერიკელ მაგნატებს, და აცხადებს, რომ ხალხმა კვლავ უნდა მოიპოვოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და გაათავისუფლოს ისრაელი ამერიკის იმპერიალიზმის მიერ ეკონომიური დამონებისაგან.

გაზეთი „კოლ ჰაამი“ წერს, რომ ყრილობამ ცხადყო პარტიის პოლიტიკური ერთიანობა, რასაც მკაფიოდ მოწმობს პარტიის პოლიტიკური ანგარიშისა და პროგრამის ერთსულოვანი მოწონება.

კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფის მისალმება ქაკ დიუკლოსადმი

პარიზი, 3 ივნისი. (საკდესი). გუშინ გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოქვეყნა კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფის მისალმება ქაკ დიუკლოსადმი. მისალმებაში ნათქვამია:

„კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფი, რომელიც შეიკრიბა 1952 წლის 30 მაისს, სოლიდარობას და ურღვევ, მტკიცე ერთგულებას უცხადებს თავის თავმჯდომარეს ქაკ დიუკლოს. იგი ვმოხს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მდივნისა და სენის დეპარტამენტის დეპუტატის უკანონო დაპატიმრებას, რაც მთავრობის ბრძანებით მოხდა. ეს თვითნებური დაპატიმრება რეაქციისა და ეროვნული გამცემლობის მთავრობის სამხედრო ღონისძიებაა. ქაკ დიუკლოს დაპატიმრება ის ღონისძიებაა, რომელიც მშვიდობის წინააღმდეგ და საფრანგეთის წინააღმდეგ განხორციელდა ომის გაჩაღებელთა შეთქმულების შესაბამისად.

მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის დასაცავად მუშათა კლასისა და ფრანგი ხალხის მოქმედებით შეშინებული მთავრობა — მოღალატე პეტენის მრჩეველისა და მსხვილ მეწარმეთა მთავრობა ცდილობს ფაშისტური ღონისძიებებით შეაფერხოს მშვიდობის დაცვის დიადი სახალხო მოძრაობა. მას სურს ფრანგ ხალხს თავს მოახვიოს ამერიკელი გენერალი, რომელმაც კორეაში სახელი გაითქვა მასობრივი მკვლელობით და ბაქტერიოლოგიური ბარაღის გამოყენებით და რომელიც იკვეხნიდა, რომ ევროპაში განაგრძობს იმას, რაც კორეაში დიწყო.

ეროვნულ კრებას, რომელიც ცდილობს პატივი სცეს კონსტიტუციას, დაუყოვნებლივ უნდა გაეუქმებინა ქაკ დიუკლოს უკანონო დაპატიმრება, აგრეთვე ბოლო მოეღო საპარლამენტო იმუნიტეტის აშკარა დარღვევისათვის. მაგრამ ბლოკების თაღლითურმა კანონმა და არჩევნებში ყალთაბანდობამ შესაძლო გახადა უმრავლესობის შექმნა, რომელიც არ გამობატავს ფრანგი ხალხის ნებას. ამ უმრავლესობამ მოიწონა ყველა სამხედრო ღონისძიება, კერძოდ, დასავლეთ გერმანელი რევანშისტების შეიარაღება, ვიეტნამში ომის განგრძობა და ჩვენი ტერიტორიის ოკუპაცია უცხოეთის ჯარების მიერ. ეს უმრავლესობა 1940 წლის ვიშის მთავრობის უმრავლესობის მსგავსად მზად არის ყოველნაირად ხელყოს თავისუფლება. მრავალი დემონსტრაცია და მუშაობის შეწყვეტა ცხადყოფს, რომ მოძრაობა, რომელიც სამეგმენდოდ აერთიანებს მშვიდობისადმი სიყვარულით გამსჭვალულ ყველა ქალსა და კაცს, გაფართოვდება, უკან დააბრუნებს ომს და განთავისუფლებას მოუტანს ქვეყანას [illegible] ყველა მებრძოლს, რომელნიც საპყრობილეში სხედან.

კომუნისტი დეპუტატები, რომლებიც ეროვნულ კრებაში 5 მილიონზე მეტ ფრანგს წარმოადგენენ, სიტყვას გაძლევენ, რომ იხელმძღვანელებენ შენი მაგალითით და მორის ტორეზის დიადი პარტიის ღირსნი იქნებიან“.

პარიზი, 3 ივნისი. (საკდესი). გაზეთ „ლუმანიტეში“ გამოქვეყნებულია საფრანგეთის კომუნისტური პარტიის შემდეგი განცხადება:

„საფრანგეთის კომუნისტური პარტიის სამდივნო პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ ბენეის მთავრობა ახალ ძალადობას მიმართავს საფრანგეთის კომუნისტური პარტიისა და სხვა დემოკრატიული ორგანიზაციების წინააღმდეგ. 31 მაისს გაჩხრეკის საბაბით პოლიციელები შეიჭრნენ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში, გაძარცვეს და დაანგრიეს კაბინეტები და მოწყობილობა. სამდივნო აღშფოთებით ამხილებს მთავრობის და მისი პოლიციის მოქმედებას, რომლებიც აბუჩად იგდებენ ყოველგვარ კანონიერებას.

პოლიციელები შეიჭრნენ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სენის დეპარტამენტის ფედერაციის კაბინეტებში, მათ შორის იმ ამხანაგების კაბინეტებში, რომლებიც საპარლამენტო ხელშეუხებლობით სარგებლობენ, და ეს კაბინეტები დაარბიეს აქტივისტების იქ არყოფნის დროს და ყოველგვარი კანონიერი გარანტიის აბუჩად აგდებით.

ასეთ პირობებში აშკარაა, რომ მთავრობას შეეძლება იმის პრეტენზია განაცხადოს, რომ პოლიციის მიერ წაღებულ საქმეებში აღმოაჩინა სწორედ ის, რის იქ ჩადებასაც იგი გადაწყვეტს.

ამიტომ სამდივნო წინასწარ სთხოვს ფრანგ მშრომელებს ეცქიროთ წოდებული ჩხრეკის შედეგები ჩათვალონ პოლიციის უბრალო მონაპოვრად, რომლის მიზანია ზიანი მიაყენოს ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ერთიანი მოქმედების განვითარებას. სამდივნო მოუწოდებს მუშათა კლასსა და საფრანგეთს ამის პასუხად გააძლიერონ ეს მოქმედება, სანამ გამარჯვებას არ მიაღწევენ.

რადგან პენეის მთავრობის აშკარა მისწრაფებაა შეუძლებელი გახადოს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ლეგალური მოღვაწეობა, პარტიის სამდივნომ გადაწყვიტა დროებით, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობის აღდგენამდე, მოთავსდეს ეროვნულ კრებაში კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფის ოთახებში.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის სამდივნო“.

„დეილი უორკერი“ საფრანგეთის პოლიციის თვითნებობის შესახებ

რისთვის იყო პარიზის პოლიციის უფროსი ვაშინგტონში?

ნიუ-იორკი, 4 ივნისი. (საკდესი). გაზეთ „დეილი უორკერის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ დიუკლოს დაპატიმრება წარმოადგენს „პენეის მთავრობის მიერ გულმოდგინედ მოფიქრებულ პროვოკაციას, რათა საბოლოო ანგარიშით არალეგალურ მდგომარეობაში ჩააყენოს საფრანგეთის კომპარტია და ჩაახშოს ომის პროგრამისადმი წინააღმდეგობის ცენტრი“, და წერს:

„ამერიკელები შეშფოთებული უნდა იყვნენ, რადგან არის იმის უდავო საბუთები, რომ საფრანგეთის მთავრობა შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის კარნახით მოქმედებდა. და ამას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ავის მომასწავებელი აზრი — რომ ამერიკელების მიერ საფრანგეთის დემოკრატიის მოსასპობად გადადგმული ყოველი ნაბიჯი უშუალოდ დაკავშირებულია საომარი მზადების ტემპის დაჩქარების ამერიკულ გეგმებთან, რაც აძლიერებს ომის წარმოშობის საფრთხეს.

შესაძლებელია, ყველაზე სენსაციური დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ პროვოკაცია დიუკლოს მიმართ მოწყობილია შეერთებული შტატების მიერ, იყოს ამა წლის მაისში პარიზის პოლიციის პრეფექტის ჟან ფეილოს საიდუმლო გამგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში. ფეილოს ვიზიტის შესახებ ცნობებს გულმოდგინედ ინახავდნენ საიდუმლოდ. ფეილო ვაშინგტონს ჩავიდა 7 მაისს. მას არ მოუწყია არც ერთი პრეს-კონფერენცია. საფრანგეთის საელჩოში მისთვის არ გაუმართავთ არც ერთი დარბაზობა, და ამერიკის შეერთებულ შტატებში მისი ყოფნის ფაქტი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა მხოლოდ მას შემდეგ აღიარა, რაც გამოირკვა, რომ უარყოფა შეიძლებოდა გაბათილებულიყო. სახელმწიფო დეპარტამენტმა, რომელიც უარს ამბობდა ფეილოს მარშრუტის გამოქვეყნებაზე, ბოლოს და ბოლოს განმარტა, რომ ფეილო სწავლობს „ამერიკის პოლიციის მეთოდებს“ და „პროფკავშირთა და მეწარმეთა ურთიერთობას“. ცნობილია, რომ იგი ეთათბირა გამოკვლევათა ფედერალური ბიუროს, იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებს და ნიუ-იორკის პოლიციის კომისარ ჯორჯ მონაგენს“.

კონსულტაცია

ინგლის-ამერიკის ზოგიერთი წინააღმდეგობის შესახებ

თანამედროვე აგრესორთა ბლოკს საფუძვლად უდევს ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტთა კავშირი, რომელიც შეიქმნა დემოკრატიისა და მშვიდობის ბანაკის, ხალხთა რევოლუციური ძალების, კოლონიური და დამოკიდებული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, კაცობრიობის პროგრესის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ბლოკში შედიან აგრეთვე აგრესიული ატლანტიკური პაქტის მონაწილე სახელმწიფოები — საფრანგეთი, ჰოლანდია, ბელგია, იტალია და სხვ. ამჟამად ეს სახელმწიფოები ერთობლივად გამოდიან საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ომის მოსამზადებლად. ამ ომით იმპერიალისტური სახელმწიფოები იმედოვნებენ თავი დააღწიონ იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც ძირმომპალ კაპიტალისტურ სისტემას ღრღნის. მაგრამ, რაც დრო გადის, ეს წინააღმდეგობანი კი არ სუსტდება, არამედ უფრო ძლიერდება.

გახადგურებულ ფაშისტურ სახელმწიფოთა წინანდელი ბლოკის მსგავსად, თანამედროვე აგრესორთა ბლოკი მთელ რიგ შინაგან წინააღმდეგობებს შეიცავს. ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ თავის მოხსენებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავის შესახებ ხაზი გაუსვა იმ სერიოზულ ფაქტორებს, რომლებიც ბორკავენ და ასუსტებენ იმპერიალისტურ ბანაკს. ეს ფაქტორებია: მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა და მშრომელთა ბრძოლა ომის გამჩაღებელთა პოლიტიკის წინააღმდეგ, კოლონიური ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდა, ეკონომიური კრახის მოახლოებული საფრთხე; იმპერიალიზმის ზურგის ამ სისუსტესთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს აგრესიულ ატლანტიკურ კავშირში შემავალ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის არსებულ შინაგან წინააღმდეგობებს.

„ერთი შეხედვით შეიძლება გვეჩვენოს,—თქვა ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ, — რომ იმპერიალიზმის ბანაკი აგრესიული ძალების ძლიერი გაერთიანებაა. რა თქმა უნდა, არ შეიძლება ეს ძალები ჯეროვნად არ შევაფასოთ. მაგრამ მშვიდობის ბანაკი ომის ბანაკზე ბევრად უფრო ძლიერია. მაშინ როცა მშვიდობის ბანაკი დარაზმულია მიზნის ერთიანობით, ომის ბანაკში შემჩნეულია ინტერესთა მნიშვნელოვანი უთანხმოება, ხოლო ბევრი ქვეყანა ამ ბანაკში ჩათრეულია ამერიკის შეერთებულ შტატებზე მათი ეკონომიური დამოკიდებული მდგომარეობის გამოყენების გზით, რაც ყბადაღებული „მარშალის გეგმის“ შედეგს წარმოადგენს“.

იმპერიალიზმის ბანაკის ძირითადი, მთავარი წინააღმდეგობაა წინააღმდეგობა ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ყველა დანარჩენი იმპერიალისტური წინააღმდეგობანი, როგორიც არის, მაგალითად, წინააღმდეგობა ინგლისსა და საფრანგეთს შორის, საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიას შორის, შეერთებულ შტატებსა და სხვა მარშალიზებულ სახელმწიფოთა შორის, წინააღმდეგობა, რომელიც უმთავრესად დაკავშირებულია ნედლეულის რესურსებისათვის, გასაღების ბაზრების, კაპიტალის გამოყენების სფეროებისათვის ბრძოლასთან, გადახლართულია ამერიკა-ინგლისის წინააღმდეგობებთან.

ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 1928 წელს აღნიშნავდა, რომ „...კაპიტალისტთა ბანაკში არსებულ მთელ რიგ წინააღმდეგობათაგან ძირითადი წინააღმდეგობა გახდა წინააღმდეგობა ამერიკის კაპიტალიზმსა და ინგლისის კაპიტალიზმს შორის. აღებთ ნავთის საკითხს, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც კაპიტალისტური მეურნეობის მშენებლობისათვის, ისე ომისათვის; აღებთ საკითხს საქონლის გასაღების ბაზრების შესახებ, რომლებსაც უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა აქვთ მსოფლიო კაპიტალიზმის არსებობისა და განვითარებისათვის, ვინაიდან არ შეიძლება საქონლის წარმოება, თუ უზრუნველყოფილი არ არის ამ საქონლის გასაღება; აღებთ ბაზრების საკითხს კაპიტალის გატანისათვის, რაც იმპერიალისტური ეტაპის ყველაზე დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს; თუ, ბოლოს, აღებთ გასაღების ბაზრებისაკენ ან ნედლეულის ბაზრებისაკენ მიმავალი გზების საკითხს, — ყველა ამ ძირითად საკითხს მივყავართ ერთი ძირითადი პრობლემისაკენ, მსოფლიო ჰეგემონიისათვის ინგლისსა და ამერიკას შორის ბრძოლის პრობლემისაკენ“.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის იმპერიალისტთა ბრძოლა, რომელიც კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისის გამწვავების შედეგია, წარმოებს ყველა ოკეანესა და კონტინენტზე, ეკონომიური, სამხედრო და პოლიტიკური ექსპანსიის, საერთაშორისო ურთიერთობის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხზე.

ეკონომიურად ბრიტანეთი გადაქცეულია ამერიკის სატელიტად. ბრიტანეთის მრეწველობისადმი ხელმძღვანელობასა და მეთვალყურეობას ახორციელებენ ამერიკის მონოპოლიების წარმომადგენლები და ინსპექტორები, რომლებმაც ლონდონში მოიკალთეს. ამერიკის მსხვილი კაპიტალი კონტროლს უწევს ინგლისის საფინანსო პოლიტიკას, ზღუდავს და კრძალავს მის ვაჭრობას. სამხედრო თვალსაზრისით ბრიტანეთი გადაქცეულია ამერიკის ბაზად. იზრდება ამერიკელთა საოკუპაციო არმიის რაოდენობა. ამერიკის მითითებებით მიღებულ იქნა შეიარაღების ახალი პროგრამა. ატლანტიკის პაქტის შესაბამისად ბრიტანეთის შეიარაღებული ძალები დაქვემდებარებული არიან ამერიკელი უმაღლესი სარდლისადმი. ასევე ხორციელდება ამერიკის მზარდი ფინანსური და სამხედრო ექსპანსია ბრიტანეთის იმპერიის ქვეყნებში.

ვაშინგტონის პოლიტიკოსებისათვის ბრიტანეთის კუნძულები შეერთებული შტატების ავიოსანია, ხოლო ინგლისელი ხალხი—საზარბაზნე ხორცი. ეყრდნობა რა ბრიტანეთის ტერიტორიაზე შექმნილ თავის მრავალრიცხოვან სამხედრო ბაზებს, აგრეთვე ინგლისის ეკონომიურ დამოკიდებულებას ამერიკის შეერთებული შტატებისაგან, ეოლ-სტრიტს განზრახული აქვს მთლიანად შთანთქოს ბრიტანეთის იმპერია. ჩრდილოეთ ატლანტიკის კოალიციის შექმნა ოდნავაც არ ასუსტებს ამ განზრახვას.

სწორედ იმიტომ, რომ კიდევ უფრო გააძლიერონ შეტევა ინგლისზე, შეერთებულმა შტატებმა ატლანტიკის ბლოკში უშუალოდ შეიყვანეს კანადა. ამერიკის პრესა პირდაპირ აღიარებდა, რომ საქმე ეხება კანადის ეკონომიურ, სტრატეგიულ და პოლიტიკურ შეერთებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი ცდილობს კონტროლი დააწესოს დიდი ბრიტანეთის უმნიშვნელოვანეს საიმპერიო გზებსა და კოლონიურ ბაზებზე. ამიტომ იტალია და პორტუგალია შეერთებულმა შტატებმა შეიყვანეს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში, რათა ეს სახელმწიფოები გადაქცეონ სამხედრო პლაცდარმებად, რომ მათი საშუალებით გაბატონდნენ ხმელთაშუა ზღვაზე თავიანთი ავანტიურისტული გეგმების განსახორციელებლად.

ასეთი პოლიტიკა, ბუნებრივია, შეშფოთებას იწვევს ინგლისის მმართველ წრეებში. როცა დაისვა ჩრდილოეთ ატლანტიკის გაერთიანებული ძალების სარდლობის დანიშვნის საკითხი, შეერთებულმა შტატებმა მიიღწიეს იმას, რომ მათი წარმომადგენლები დანიშნულიყვნენ როგორც არმიის, ისე სამხედრო-საზღვაო ძალების მეთაურებად. ამას არ შეეძლო არ გამოეწვია ზღვათა ძველი „მფლობელის“, ინგლისის გულისწყრომა. აი რას წერდა ინგლისის კონსერვატორთა ერთ-ერთი მსხვილი გაზეთი „დეილი მეილი“.

„ევროპა მოექცა ამერიკელი ჯარისკაცის სარდლობის, ხოლო ატლანტის ოკეანე—ამერიკელი მეზღვაურის სარდლობის ქვეშ... ჩვენ ზოგჯერ ვეკითხებით ჩვენს თავს: რას ფიქრობენ ჩვენზე ამერიკელები? ბოლოს და ბოლოს, ბრიტანეთის იმპერია—ეს რომელიღაც ცენტრალური ამერიკის რესპუბლიკა როდია. ბრიტანეთის იმპერია ნიაგარაგუა არ არის და იგი უკეთესი დამოკიდებულების ღირსია“.

ინგლის-ამერიკას შორის წინააღმდეგობა დიდია. გერმანიის საკითხშიც. გერმანიის იმპერიალიზმის აღორძინების, დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის, ნაცები ჰიტლერელი გენერლების

ჟაკ დიუკლოს სიცოცხლე საფრთხეშია

პარიზი, 3 ივნისი. (საკდესი). გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა სათაურით „ჟაკ დიუკლოს სიცოცხლე საფრთხეშია“:

დაპატიმრებულმა ამხ. ანდრე სტილმა 1 ივნისს გამომძიებელ ჟაკინოს გაუგზავნა წერილი, საიდანაც მოგვყავს ძირითადი ამონაწერები.

არსებობს უდიდესი საფრთხე, წერს ანდრე სტილი, რომელიც უნდა შეიგნოს თვითეულმა ფრანგმა: იმათ, ვინც ჟაკ დიუკლო დააპატიმრა და საპყრობილეში ჩასვა, დაახლოებით 2 წლის წინათ მოაწყეს, ხოლო შემდეგ მიჩქმალეს საზარელი თავდასხმა, რომლის დროს დიუკლოს ოშში ესროლეს გრანატი. ეს იგივე პირები არიან, რომლებიც წარმართავდნენ მკვლელობისადმი ძოწოდების საზიზღარ კამპანიას, კოლონიზატორთა ბინძური ფურცელი „ეზეთი „კლიმა“ რომ ეწეოდა ჩვენი ამხანაგის წინააღმდეგ.

ამას უნდა დავძინოთ, რომ ვიშის მოღვაწეებს, რომლებიც მთავრობას ხელმძღვანელობენ, და, კერძოდ, ბ-ნ პინეის, რომელიც ეროვნული საბჭოს წევრი იყო პეტენის დროს, მსჯავრდადებულია უკანონო მოგების მიღებისათვის და მეგობარია ფლანდენისა, რომელმაც ერთ დროს დეპეშა გაუგზავნა ჰიტლერს, ჟაკ დიუკლოსათვის ვერ უპატიებიათ ის, რომ 1940 წლის 10 იელისს მან მორის ტორეზთან ერთად ხელი მოაწერა მოწოდებას ე. ი. მოწოდებას ჰიტლერელ ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. — (ედ.), აგრეთვე ის, რომ ოკუპაციის დროს მან შეძლო ხელიდან დასძრომოდა გესტაპოსა და ვიშის პოლიციას, მაშინ როცა ივი იყო ჩვენს ტერიტორიაზე წინააღმდეგობის მოძრაობის გამოჩენილი ორგანიზატორი.

ვინ იქნება ოდნავ მაინც დამშვიდებული იმ მომენტში, როცა გენერალი როჯუეი, ბაქტერიოლოგიური მკვლელი, რომელიც პასუხისმგებელია კორეაში სამხედრო ტყვეების წამებისა და დახოცვისათვის, ჩამოვიდა აქ, რათა ადგილობრივ უხელმძღვანელოს რეპრესიების მკაცრი პოლიტიკის განხორციელებას, რაც მას ესაპიროება ომის რაც შეიძლება მალე გაჩაღებისათვის!

... არის საფუძველი მოველოდეთ ყველაზე ცუდს, თუ ხალხის მასების ერთობლივი მოქმედება საკმაოდ ძლიერი არ იქნა იმისათვის, რომ მიაღწიოს ჟაკ დიუკლოს სწრაფად გათავისუფლებას. კარგად ცნობილია მეთოდები, რომლებითაც ფაშისტები სარგებლობენ, რათა „თავიდან მოიცილონ“ პატრიოტები, კერძოდ მუშათა კლასის ხელმძღვანელნი, როცა ისინი დაწყვდეული ჰყავთ საპატიმროში: თვითმკვლელობით შენიღბული მკვლელობანი, მოწამლვა და სხვ. მათ ეს ვერ მოუხერხეს ჟაკ დიუკლოს ომის დროს. მათ მარცხი მოუვიდათ ოშში. ამჯერად კი უნდათ მიზანს მიაღწიონ...

აქ, ჩვენი ძვირფასი ჟაკის გვერდთ, მასთან ყოველდღიურ ურთიერთობაში, მე განსაკუთრებით ვგრძნობ საფრთხეს, რომელიც მას ყოველ წუთს მოელის. აი რატომ მიმაჩნია, რომ ყოველი პატრიოტის, მშვიდობის ყოველი მომხრის, ყველა მშრომელის და უწინარეს ყოვლისა თვითეული კომუნისტის აუცილებელი მოვალეობაა ერთი წუთიც არ დაკარგოს. საჭიროა მასების მძლავრი მოქმედებით მივაღწიოთ დიუკლოს განთავისუფლებას, ვუჩვენოთ ომის ადამიანებს, რომ ისინი არ შეიძლება დაუსჯელი დარჩნენ საფრანგეთის ყველაზე დიდი პარტიის, მუშათა კლასის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობის პარტიის, მორის ტორეზის პარტიის ხელმძღვანელების ხელყოფისათვის.

საფრანგეთის მშრომელები მოითხოვენ ჟაკ დიუკლოს დაუყოვნებლივ განთავისუფლებას

პარიზი, 3 ივნისი. (საკდესი). გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ პარიზის რაიონის პროფკავშირთა გაერთიანების მიერ 4 ივნისს გამოცხადებულ 24 საათის საყოველთაო გაფიცვას, რომელიც გაიმართება საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, პარლამენტის დეპუტატ ჟაკ დიუკლოს განთავისუფლებისათვის, მშვიდობის, პურის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ნიშნით.

გაზეთი „ლუმანიტე“ გადმოგვცემს ცნობებს გაფიცვის მომზადების მსვლელობის შესახებ. პარიზის რაიონის პროფკავშირთა გაერთიანების მოწოდების პასუხად ქალაქის მრეწველობის მშრომელთა ფედერაციამ, ტაქსის შოფერთა პროფკავშირმა, სამშენებლო საწარმოთა და საზოგადო სამუშაოთა მშრომელების პროფკავშირულმა გაერთიანებამ და მთელმა რიგმა სხვა პროფკავშირებმა თავიანთ წევრებს მიმართეს მოწოდებით 4 ივნისს მოაწყონ საყოველთაო გაფიცვა.

მოზელის და მერტისა და მოზელის დეპარტამენტების მეტალურგიული მრეწველობის მშრომელთა პროფკავშირმაც თავის წევრებს მოუწოდა მოაწყონ გაფიცვა და ამით ცხადყონ „ურყევი მისწრაფება ომისაკენ, რომ მოსპონ შეთქმულება საფრანგეთის მუშათა კლასისა და ხალხის წინააღმდეგ“.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მოდის პარიზისა და მისი გარეუბნების მშრომელთა მრავალი დელეგაცია. ისინი სოლიდარობას უცხადებენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკას და მტკიცე პროტესტს აცხადებენ ცენტრალური კომიტეტის მდივნის, პარლამენტის დეპუტატ ჟაკ დიუკლოს უკანონო დაპატიმრების წინააღმდეგ.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი ლუი საიანი თავის განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რეპრესიები კომპარტიის წინააღმდეგ მოაწყეს იმ მომენტში, როცა ოფიციალურად აღადგენენ ახალ ვერმახტს, რომელიც პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს ფრანგი ხალხისათვის.

გაზეთმა „ლიბერასიონმა“ გამოაქვეყნა პროგრესულ რესპუბლიკელთა კავშირის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარის ემანუელ დ'ასტიე დე ლა ვიჟერის წერილი რესპუბლიკის პროკურორისადმი. ამ წერილში იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჟაკ დიუკლო, რომელიც საპარლამენტო ხელშეუხებლობით სარგებლობს, უკანონოდ დაუპატიმრეს, და მოითხოვს მის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

პროგრესულმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს აგრეთვე საპროტესტო დეპეშები ე. დიუკლოს დაპატიმრების წინააღმდეგ, რომლებიც გამოგზავნეს ენვერ ხოჯამ — ალბანეთის შრომის პარტიის სახელით, ენსინამ — მექსიკის კომუნისტური პარტიის სახელით და ვიტორიო ვიდალმ — ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის კომუნისტური პარტიის სახელით.

ბევრ ფრანგს კომპარტიის ფონდში შეაქვს თავისი დანაზოგი ცენტრალური კომიტეტის შენობის შესაკეთებლად, რომელიც პოლიციამ ჩხრეკის დროს დაარბია.

გაზეთი „ლუმანიტე“ აღნიშნავს, რომ მთავრობის ანტიკომუნისტურმა ღონისძიებებმა გამოიწვია კომპარტიის წევრთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა. ყველა შემსეელი აღნიშნავს, რომ სურს იბრძოლოს მშვიდობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იმ პარტიის რიგებში, რომელიც ამ პატრიოტულ ბრძოლას თავთაურობს.

როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, ჟაკ დიუკლოს ადვოკატებმა გუშინ სასამართლო გამომძიებელს ჟაკინოს გაუგზავნეს სამი წერილი, სადაც მოითხოვენ აცნობოს მათ ის მასალა, რომელიც ადასტურებს „ვითომდა დანაშაულის ადგილზე წასწრებას, რომლის საფუძველზეც დიუკლოს ბრალი დასდეს და თავისუფლება წართვეს“. ადვოკატებმა მტკიცე პროტესტი განაცხადეს აგრეთვე სამართლის იმ დარღვევის წინააღმდეგ, რაც პოლიციამ ჩაიდინა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სხვა დემოკრატიული ორგანიზაციების შენობების ჩხრეკის დროს.

„ლუმანიტე“ აღნიშნავს, რომ ხელისუფალთ დღემდე არ დაუკმაყოფილებიათ დიუკლოს მოთხოვნა — პოლიტპატიმართა რეჟიმი გავრცელდეს ყველა მშრომელზე, რომლებიც დაპატიმრებული არიან ამერიკელი გენერლის როჯუეის პარიზს ჩამოსვლის წინააღმდეგ საპროტესტო დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის. ყველა დაპატიმრებული მოთავსებულია საერთო საკნებში — ისეთსავე პირობებში, როგორშიც სისხლის სამართლის დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირები იმყოფებიან.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 3 ივნისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობა თავის 3 ივნისის ცნობაში გადმოგვცემს, რომ გუშინ ყველა ფრონტზე კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეებთან თანამოქმედებით განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს წინანდელ ზღუდეებზე.

დასავლეთისა და ცენტრალური ფრონტების ცალკეულ უბნებზე წარმატებით მოგერიებულ იქნა მოწინააღმდეგის იერიშები.

გუშინ და დღეს სახალხო არმიის საზენიტო არტილერიის ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის ექვსი თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ დასახლებულ პუნქტებზე თავდასხმებში.

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

გენერალ ნამ ირის განცხადება

პეკინი, 4 ივნისი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტმა 2 ივნისს კესონიდან გადმოგვცა:

კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების მონაწილე დელეგაციების დღეანდელ პლენარულ სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა გენერალმა ნამ ირმა.

„იმ მიზნით, რომ მოლაპარაკების გზით გადაჭრილიყო სამხედრო ტყვეების საკითხი, — განაცხადა მან, — ჩვენმა მხარემ ბევრი რამ დათმო. ჩვენ შემოვიტანეთ საკუთარი კომპრომისული წინადადება, რომელიც ითვალისწინებს გაერთიანებული ერების შეიარაღებული ძალების და ჩინელ სახალხო მოხალისეთა სამხედრო ტყვეების, აგრეთვე კორეის სახალხო არმიისა და სამხრეთ კორეის ჯარების იმ სამხედრო ტყვეების უცილობელ რეპატრიაციას, რომელთა საცხოვრებელი ადგილი არის რაიონებში, რომლებსაც კონტროლს უწევს მოწინააღმდეგე მხარე. მაგრამ თუ კორეის სახალხო არმიის ან სამხრეთ კორეის ჯარების ზოგიერთ სამხედრო მოსამსახურეთ, რომელთა საცხოვრებელი ადგილი იმ მხარის რაიონებშია, რომელიც მათი ინტერნირება მოახდინა, სურთ დაზავების შემდეგ დაუყოვნებლივ დაუბრუნდნენ შინ მშვიდობიან ცხოვრებას, მათი რეპატრიაცია საჭირო არ არის. ჩვენი მხარის ეს წინადადება უზრუნველყოფს ისეთ მდგომარეობას, როცა ორივე მხარის სამხედრო ტყვეებს შეუძლიათ დაუბრუნდნენ შინ მშვიდობიან ცხოვრებას და არ მიიღონ მონაწილეობა შემდგომ საომარ მოქმედებაში. ეს საკითხი შეესაბამება ჰუმანურობის პრინციპებსა და ჟენევის კონვენციებს. ეს საკითხი სამართლიანი კომპრომისული წინადადებაა.

მაგრამ მას შემდეგ, რაც დაიწყო სამხედრო ტყვეთა საკითხის განხილვა, თქვენ დაჟინებით მოითხოვთ მივიღოთ უკანონო და აბსურდული წინადადება, რომლის მიზანია ჩვენი ტყვეების დაკავება, და არავითარ დათმობას არ აკეთებთ. რამდენადაც თქვენ გაყავთ მეტი სამხედრო ტყვე, ვიდრე ჩვენ, თქვენ სხვადასხვა საბაბით ილაშქრებთ ყველა სამხედრო ტყვის რეპატრიაციის წინააღმდეგ, რათა განახორციელოთ სამხედრო ტყვეების დაკავების თქვენი მიზანი. სამხედრო ტყვეების დაკავება, როგორც მძევლებისა სამოქალაქო პირებში გასაცვლელად, მიზნად ისახავს არ დაანგრიონ სამხედრო ტყვეები. ეგრეთწოდებული „ნებაყოფლობითი რეპატრიაციაც“ და „ძალდატანებული რეპატრიაციაც“ მიზნად ისახავს სამხედრო ტყვეების დაკავებას. ამავე მიზანს ისახავს ეგრეთწოდებული „შერჩევა“ და „განმეორებითი შერჩევა“. მაგრამ ყოველგვარი წინადადება, რომლის მიზანია სამხედრო ტყვეების დაკავება, სავსებით ეწინააღმდეგება ჰუმანურობის პრინციპებს და ჟენევის კონვენციებს და ამიტომ აბსოლუტურად მიუღებელია.

ყალბი საბაბებით ყოველგვარი საშუალებისა და მეთოდის გამოყენება სამხედრო ტყვეების დაკავებისათვის უცილობლად წარმოადგენს სასტიკი ძალადობის აქტს. ამას მტკიცე წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ სამხედრო ტყვეებმა. ჩვენი ტყვეების ბარბაროსულმა დახოცვამ, რასაც თქვენ ეწეოდით და ამჟამად ეწევით, და უმაგალითო გმირულმა ბრძოლამ, რასაც ჩვენი ტყვეები ეწეოდნენ და ეწევიან მათი დაკავების წინააღმდეგ, მთელი მსოფლიოს ადამიანებს დაანახვა სრული უნიადაგობა თქვენი ყალბი წინადადებისა, რომლის მიზანია სამხედრო ტყვეების დაკავება. სამხედრო ტყვეთა ბანაკის თქვენი ყოფილი კომენდანტის კოლსონის აღიარებამ, რაც ცნობილი გახდა მთელ მსოფლიოში, ამხილა სასტიკი ძალადობის აქტები, რომლებსაც თქვენ განუწყვეტლივ სჩადიოდით ხანგრძლივი დროის მანძილზე. მისცა რა ჩვენება სენატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიას, თქვენმა ყოფილმა მთავარსარდალმა გენერალმა რიჯუეიმ განაცხადა: „ვანხილულ იქნა საკითხი 50-60 ათასი „თავგამოდებული“ კომუნისტის მარიანის კუნძულებზე ან თვით შეერთებულ შტატებში გაგზავნის შესახებ“. ეს ამხილებს ყველა იმ საბაბის მიზანს, რომელსაც თქვენ იყენებთ იმისათვის, რომ დაიკავოთ სამხედრო ტყვეები. ვერავითარი სოფისტიკით ვერ დაფარავთ თქვენს დანაშაულებრივ გეგმას. თქვენ აღარავითარი საბაბი არ მოგეპოვებათ იმისათვის, რომ კვლავ დაჟინებით მოითხოვდეთ თქვენი უკანონო და აბსურდული წინადადების მიღებას.

კორეაში დროებითი ზავის დადებას მხოლოდ სამხედრო ტყვეების საკითხი ეღობება. იმ მიზნით, რომ კორეაში დროებითი ზავი დაიდოს, თქვენ უნდა შეწყვიტოთ ჩვენი ტყვეების ბარბაროსულად დახოცვა და ხელი აიღოთ თქვენს დანაშაულებრივ წინადადებაზე, რომლის მიზანია ტყვეების დაკავება. სამხედრო ტყვეების საკითხის გადაჭრისათვის ჩვენ ბევრი რამ დავთმეთ და 2 მაისს შემოვიტანეთ სავსებით გონივრული კომპრომისული წინადადება. ჩვენ მტკიცედ ვიცავთ ამ წინადადებას, როგორც სამხედრო ტყვეთა საკითხის გადაჭრის ერთადერთ გონივრულ საფუძველს“.

ვიეტნამის სახალხო არმიის საომარი მოქმედება

შანხაი, 3 ივნისი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო საგენტო ჩრდილოეთ ვიეტნამიდან იუწყება, სახალხო არმიის ნაწილები, რომლებიც სამხრეთ ვიეტნამში მოქმედებენ, ამა წლის პირველ კვარტალში აქტიურ საბრძოლო ოპერაციებს ეწეოდნენ ფრანგი კოლონიზატორების წინააღმდეგ.

ამ ხნის განმავლობაში სახალხო არმიის ნაწილებმა მოკლეს და დაჭრეს მტრის 4.701 და ტყვედ წამოიყვანეს 131 ჯარისკაცი და ოფიცერი.

ბრძოლების მსვლელობაში სახალხო ჯარებმა მოსპეს 67 სატვირთო და ჯავშნიანი მანქანა, აგრეთვე 5 ქვემეხი, მწყობრიდან გამოიყვანეს ორი ორთქლმავალი, ჩამოაგდეს 3 თვითმფრინავი, ჩაძირეს 5 სამდინარო გემი.

სახალხო არმიის ჯარებმა ხელთ იგდეს შემდეგი ტვალი: 43 ტყვიამფრქვევი და ავტომატი, 332 შაშხანა, 2 რადიოგადამცემი, ავტომანქანები და დიდძალი სამარი მასალა და სამხედრო საჭურველი.

ქალაქი ჭიათურა. მარგანეცის მრეწველობის ტრესტის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ახალი საცხოვრებელი სახლი.

ფოტო ვ. ვახტანგაძისა

ჩვენი სამშობლოს ყოველი კუთხიდან

დღეს იხსნება ორი საკავშირო ტურისტული მარშრუტი იმ მარშრუტების დამატებით, რაც უკვე გახსნილია 10 მაისიდან (ბაქო-თბილისი-გორი-ქუთაისი-ბათუმი-მწვანე კონცხი) და 1 ივნისიდან (ძაუ-ჯიყაუ-თბილისი-გორი-ბათუმი).

ახალი მარშრუტები იხსნება ოსეთის სამხედრო გზატკეცილით ძაუჯიყაუდან შოვი-ქუთაისის მიმართულებით მწვანე კონცხამდე, ხოლო შემდეგ ბათუმამდე და მეორე სუხუმის გზატკეცილით — კურორტ თებერდიდან ქლუხორის უღელტეხილით სუხუმამდე. ოსეთის სამხედრო გზატკეცილით თბილისური ტურისტები დაისვენებენ ძაუჯიყაუს შემდეგ ცეაში, ძრამაგაში, შოვში, ქუთაისში, მწვანე კონცხზე და ბოლოს ბათუმში, თებერდიდან წამოსულები კი დონბაიში, აჟარაში და ბოლოს სუხუმში.

ტურისტებს, რომლებიც ამ მარშრუტებს გაიელიან, მიეცემათ სსრ კავშირის ტურისტის ნიშანი.

39 ხელმძღვანელი თვითმოქმედი წრეებისათვის

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტმა მოაწყო მომღერალთა და მოცეკვავეთა წრეების ხელმძღვანელთა რესპუბლიკური ერთთვიანი გადასამზადებელი კურსები. კურსები დამთავრა 39 კაცმა. მათ შორის 25 მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელია, ხოლო 14 — მოცეკვავეთა წრის ხელმძღვანელი.

მსმენელებმა მოისმინეს ლექციები საგუნდო ხელოვნების, მუსიკალური ანბანის, მუსიკის ისტორიის, ქოროგრაფიის და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საკითხებზე. ისინი დაესწრნენ დედაქალაქის თეატრების სპექტაკლებს, სამღერისა და ცეკვის ანსამბლების კონცერტებს და გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნავ ადგილებს.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მოხსნა ამხ. ბ. ი. ყურაშვილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული დასახლება-გადასახლების სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან ახალდასახლებულთა დაბების მშენებლობაში მეშაობის ჩაშლისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა ამხ. გ. ე. ნარსია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული დასახლება-გადასახლების სამმართველოს უფროსად.

დამთავრდა საქართველოს თასის გათამაშება ფრენბურთში

ორ დღეს მიმდინარეობდა ფრენბურთში შეჯიბრება საქართველოს 1952 წლის თასის მოსაპოვებლად. 2 ივნისს, დასკვნითს თამაშში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და სუხუმის ვაჟთა და ქალთა გუნდები. ამ შეხვედრისას ქალთა გუნდებს შორის მაღალი სპორტული წვრთნა და კარგი ფიზიკური მომზადება გვიჩვენეს თბილისელმა ფრენბურთოელმა ქალებმა, რომლებმაც დაამარცხეს სუხუმელი ფრენბურთოელები. ამრიგად, ფრენბურთოელ ქალთა გუნდებს შორის საქართველოს 1952 წლის თასი მოიპოვა თბილისის ქალთა გუნდმა.

სპორტულად საინტერესო, შეუპოვარი ბრძოლა გაიმართა ფრენბურთოელ ვაჟთა თბილისისა და სუხუმის გუნდებს შორის. სუხუმელი ფრენბურთოელები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ თბილისელებს, მაგრამ მოფიქრებულმა თამაშმა და მაღალმა სპორტულმა ოსტატობამ შეხვედრის ბედი დედაქალაქის ფრენბურთოელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. შეხვედრა მოიგო თბილისის გუნდმა.

ამით თბილისის ვაჟთა გუნდმა მოიპოვა საქართველოს 1952 წლის თასი ფრენბურთში. გამარჯვებულ გუნდს გადაეცათ თასი და პირველი ხარისხის დიპლომები.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — „პრავდის“ 4-VI მოწინავე — ვამხილოთ ომისგამჩაღებელთა იდეოლოგია. მინდვრებსა და პლანტაციებში — ნ. პაიჭაძე — ჩაის კრეფისათვის არ მოემზადნენ. სარეველა ბალახი პლანტაციებში.

მეშახტის დღის აღსანიშნავად.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში.

მეორე გვერდი — პარტიული ცხოვრება — ძველი შეცდომები ინსტრუქტორების მუშაობაში. ხ. მერკვილაძე — წარმოების მოგიწყებული საკითხი. საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის პლენუმი.

მრისხანე პროტესტი ჯალათების წინააღმდეგ. ნ. ნოვიცკი — შეხვედრები ვოლგა-დონზე.

მესამე გვერდი — წერილები რედაქციისადმი. პატარა ფელეტონი.

მკითხველები წიგნების შესახებ — ბ. წულუკიძე — კარგი სახელმძღვანელო ქირურგიაში. ნ. ნიკოლაიშვილი — ქართული გაზეთების ანალიტური ბიბლიოგრაფია. ფ. კიკნაძე — ბრმურა მოწინავე რკინიგზელების შესახებ.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

ინგლის-ამერიკის ზოგიერთი წინააღმდეგობის შესახებ

(დასასრული)

სამხედრო-სამრეწველო არსენალის შექმნის საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ომის მოსამზადებლად. ამავე დროს „შუმანის გეგმა“ აშკარად მიმართულია ინგლისის წინააღმდეგ. შემთხვევითი როდია, რომ ინგლისმა უარი განაცხადა „შუმანის გეგმაში“ მონაწილეობაზე. საქმე ის არის, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რურის მადანს ინგლისის მონოპოლისტები დაეუფლნენ. შემდეგ ამერიკელებმა ინგლისი შეაიწროეს და რური თვითონ მიისაკუთრეს. ამჟამად ინგლისის მძიმე მრეწველობას დაუპირისპირდა ძლიერი კონკურენტი ამერიკის მონოპოლიების კონტროლქვეშ მყოფი დასავლეთ ევროპის გაერთიანებული კარტელის სახით. ყველაფერი ეს აძლიერებს და ამწვავებს ამერიკა-ინგლისის წინააღმდეგობებს.

საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის პრობლემა ასევე არ შეიძლება არ იყოს მწვავე ბრძოლის მიზეზი ინგლის-ამერიკის სამხედრო ბლოკს შიგნით.

საფრანგეთის მმართველმა ხროვამ, რომელიც შედგება აშკარა ფაშისტ დე გოლის და შენიღბული ფაშისტის, მეძარჯვენე სოციალისტის ჟიულ მოკის მიმდევრებისაგან, უღალატა საფრანგეთის ეროვნული უშიშროების ინტერესებს. მან საფრანგეთი ჩააბა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში, რომელმაც ფაქტიურად უკვე დაიწყო რურის მაგნატების მზადება ახალი იმპერიალისტური აგრესიისათვის.

საფრანგეთის იმპერიალისტები იმიტომ უჭერდნენ მხარს ევროპის მძიმე მრეწველობის ერთ კარტელში გაერთიანებას, რომ უნდოდათ მასში ერთ-ერთი წამყვანი როლი შეესრულებინათ და გამოეყენებინათ იგი თავიანთი მიზნებისათვის. მაგრამ საფრანგეთის ამ მისწრაფებას წინ აღუდგნენ დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტები, რომლებიც ამერიკის კაპიტალის მხარდაჭერით სარგებლობენ. „შუმანის გეგმის“ შემწეობით დასავლეთ გერმანიის მონოპოლიები საოკუპაციო ხელისუფალთა მხრივ ფორმალური ეკონომიური კონტროლისგანაც კი თავისუფლდებიან. „გაერთიანებული ევროპის“ ლოზუნგით და შეერთებული შტატების გეგმების შესაბამისად, ისინი კვლავ იწყებენ აქტიურ ბრძოლას თავიანთი ტრადიციული კონკურენტების — ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ.

ამერიკის ექსპანსიას შორეულ აღმოსავლეთში თან მოჰყვა ინგლისის სრული შევიწროება. ყველა ქვეყანაში, სადაც ფეხს იკიდებს ამერიკის იმპერიალიზმი, ბოლო ეღება ინგლისის საქონლისა და კაპიტალის შეტანას, ინგლისს პოლიტიკურ გავლენას. ამას ადასტურებს, მაგალითად, ამერიკის პოლიტიკა იაპონიის, ფილიპინის, ინდონეზიის მიმართ.

ინგლის-ამერიკის ურთიერთ ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენს აგრეთვე ახლო აღმოსავლეთი.

მას შემდეგ, რაც ირანის მეჯლისმა მიიღო კანონი ირანის ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ (1951 წლის მარტი), შეერთებული შტატების მთავრობამ მყისვე მიიღო ზომები, რათა დაეკავებინა ინგლისის ადგილი. ინგლისის პრესამ ირანში მომხდარი ამბები შეაფასა, როგორც ინგლისის ყველაზე მძიმე დამარცხება მთელი ასი წლის განმავლობაში, როგორც ახლო აღმოსავლეთში ინგლისის ყველა პოზიციების დაკარგვის საფრთხე.

ამერიკის იმპერიალიზმი ასევე ცდილობს დაიკავოს ინგლისის ადგილი ეგვიპტეში.

ინგლის-ამერიკის ბრძოლა კოლონიური საკითხის ირგვლივ აუცილებლად კიდევ უფრო გაიზრდება და გამწვავდება.

იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობას ნათლად გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური ექსპანსია ევროპის ქვეყნებში. ამ ექსპანსიის ხასიათს, მასშტაბს და მეთოდებს უპირველეს ყოვლისა ამერიკის ეკონომიკის ინტერესები განსაზღვრავენ. დამახასიათებელია, რომ ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების მმართველი წრეები იმას კი არ ცდილობენ, რომ გაზარდონ სამრეწველო წარმოება, რომლის მთელ რიგ დარგებს ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ ომამდელ დონემდე, არამედ ცდილობენ როგორმე შეაფერხონ მისი ზრდა, ვინაიდან მთელი სიმწვავით დგას ბაზრების საკითხი. ჯერ-ერთი, ამერიკის შეერთებულ შტატებს ხელთ უპყრიათ გადამწყვეტი მსოფლიო ბაზრები, მეორეც, დასავლეთ ევროპა ამერიკას გამოყენებული აქვს თავისი ჩაწოლილი საქონლის გასაღების ბაზრად. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ამერიკის მონოპოლიებმა მარშალიზებული ქვეყნები აიძულეს შეეწყვიტათ ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან, რამაც ძლიერ უარყოფითი გავლენა მოახდინა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული ქვეყნების ეკონომიკაზე. ეს ქვეყნები აგრეთვე იძულებული არიან შეამცირონ ვაჭრობა ურთიერთ შორის. ინგლისმა და საფრანგეთმა სასტიკი შეზღუდვა დააწესეს იმპორტზე დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებიდან. ამან ძლიერი უკმაყოფილება გამოიწვია იტალიის, ჰოლანდიის, ბელგიის საქმიან წრეებში.

„მარშალის გეგმამ“ ევროპას მოუტანა ეკონომიური კრიზისისა და უმუშევრობის ზრდა. მაგრამ თუ „მარშალის გეგმით“ ამერიკელებმა დასავლეთ ევროპის ეკონომიკის დეზორგანიზება შეძლეს, მათ თავი ვერ დაალწიეს ეკონომიური კრიზისის სტიქიას, რომელიც დაუნდობლად დააწვა თვით ამერიკის შეერთებულ შტატებს.

* * *

ამერიკელ-ინგლისელ აგრესორთა ბანაკი აღსავსეა შინაგანი წინააღმდეგობებით. ამაოა იმპერიალისტთა ცდები თავი დააღწიონ ამ წინააღმდეგობებს. ფაქტები მოწმობენ, რომ აგრესიულ იმპერიალისტურ ბანაკში კონფლიქტები და ურთიერთ ბრძოლა სულ უფრო გაიზრდება.

იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის არსებული წინააღმდეგობანი ამწვავებენ წინააღმდეგობებს შრომასა და კაპიტალს შორის, წინააღმდეგობებს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა და კოლონიურ ხალხებს შორის. ეს წინააღმდეგობანი ღრღნიან და ასუსტებენ მსოფლიო იმპერიალიზმის ბანაკს. მაგრამ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ იმპერიალისტთა შინაგანი ბრძოლა აიძულებს მათ ხელი აიღონ აგრესიული ომის მომზადებაზე. პირიქით, იმპერიალისტები ცდილობენ თავიანთი წინააღმდეგობანი გადაჭრან საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ომით.

მაგრამ მშვიდობის ბანაკის ძალები გაცილებით ძლიერია ომისა და აგრესიის ძალებზე. ომის თავიდან აცილებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის მომხრეთა მრავალმილიონიანი არმიის დარაზმულობას.

იმპერიალიზმის ბანაკში ბატონობს ძალადობის, ჩაგვრის, უთანასწორობის, მტაცებლობის, სასტიკი კონკურენციის მგლური კანონები. დემოკრატიული ბანაკის საფუძველს კი შეადგენს ხალხთა თანასწორობა, მეგობრობა, ძმური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება. მშვიდობის ბანაკის ბურჯია დიადი საბჭოთა სახელმწიფო. მშვიდობის ბანაკი ეყრდნობა ხალხთა მასების მხარდაჭერას ყველა ქვეყანაში, ეყრდნობა საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მეურნეობის, კულტურის, მეცნიერების, მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელ აღმავლობას.

ამხანაგ სტალინის განცხადება იმის შესახებ, რომ მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას, აძლიერებს ყველა ქვეყნის ხალხების მტკიცე გადწყვეტილებას — ჩაფუშონ იმპერიალისტთა აგრესიული გეგმები და იხსნან კაცობრიობა ახალი ომისაგან.

დ. მაისურაძე

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით

6 ივნისს

06.25 — ქართული ხალხური სიმღერები; 07.30 — მუსატოვის სიმფონიური ნაწარმოებები; 09.20 — არიები და დუეტები დელიბის, ტომას და ბიზეს ოპერებიდან; 10.30 — ქართველი პოეტების ლექსები მშვიდობაზე; 11.10 — მუსიკალური ნაწყვეტები კინოფილმებიდან; 14.15 — კონცერტი მოსკოვისათვის; 17.15 — კონცერტი; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „ნახმოველები“; 18.15 — კონცერტი-ლექციი ციკლიდან „ქართული კამ